# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევს 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მ. სამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. | კვირა, ოქტომბრის 3. 1920 წ. № 212 | ფასი 10 მანეთი



# ეროვნულ-დემოკრატიული

## პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ მველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

---

ღრმად დამწუხარებულნი არსენი, აპოლონი, ივანე მარიამი და იულია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 3 ოქტომბერს, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დასაფლავებიდან ერთი წლის შესრულების გამო ძვირფას და დაუვიწყარ, პირველის მეუღლის და დანარჩენები დედის

**ნატალია ბესარიონის ასულის კობახიძისას**

სულის მოსახსენებლად. 3—2

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ოლღა, შვილები: თამარი, ლეომედია და გივი, ძმა ლასო და რძალი სონა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 5 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ქ. ზესტაფონში წმ. ნინოს ეკლესიაზე იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენი ძვირფასი

**ტრიფონ ანდრიასძე ნიორაძისა**

1—3154—1

---

## ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო

ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ თანახმად წესდების § 18, კვირას, 3 ოქტომბერს, ქართული დრამის თეატრში, შუადღის 12 საათზე შესდგება წევრთა

## საგანგებო კრება

განსახილველი საგნები: 1. საზოგადო კრების დადგენილებათა განხილვა.
2. სასურსათო საკითხი.
3. მიმდინარე საკითხები. 2—49—2

---

## ქართული კლუბი

კვირას, 3 ოქტომბერს 1920 წელს დღის 12 საათზე დანიშნულია ქართულ კლუბის დარბაზში

## წევრების საგანგებო და საზოგადო კრება

1. 1920—21 სამოსწავლო წლის სტიპენდიების განახლება
2. კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.
3. მიმდინარე საკითხები.

**შენიშვნა:** კლუბის წესდების მე-31 მუხლის ძალით კრება კანონიერათ ჩაითვლება, რაც მცირე წევრთა რიცხვიც არ გამოცხადდეს. 2—50—1

---

## ავსტრიის რესპუბლიკა

თბილისში მყოფი, ავსტრიის სამხედრო ტყვეთა დამხმარე დეპარტამენტის დელეგატი უბრძანებს აქ მყოფ ავსტრიის ქვეშევრდომ სამხედრო ტყვეებსა და მოქალაქეთ, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება, გამოცხადნენ ან თბილისში სერგეევის ქ. № 16, ან და ბათომში მის მოადგილე ე. ი. ტრანცთან. პირადად ან და საჩქაროდ აცნობოთ წერილობით თავიანთი მისამართი.

(ხადდება ავსტრიის დანარჩენ ქვეშევრდომთა საყურადღებოდ, რომ ამის შემდგომ მათი ინტერესების დაცვა პასპორტებისა და საჭირო საბუთების გაცემა დავალებული აქვს თბილისში მყოფ გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენელს თბილისი, 29 ენკენისთვე 1920 წ. 3152—1

---

## სახალხო სახლი

დღეს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ დამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ღ ა ლ ა ტ ი

ისტ. ლეგ. 5 მოქ.

ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

---

ამხანაგობა „პროდვოდნიკი“
სოლოლაკის ქ. № 4.

მივიღეთ და უკვე გასაყიდად განმზადებულია მთელ ქვეყანაზე განთქმული

## „კეროსინკები“

„ტიპ“—„ტ პის“ ტიპსა

---

**СЕГОДНЯ, ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ, ВЕЧЕРОМЪ**

выйдетъ № 1 понодельничной газеты

## „ТИФЛИСЪ“

подъ редакцiей быв. редактота газ. „Бакинецъ“
Г. С. Джиноридзе.

ВЪ НОМЕРѢ: послѣднія телеграммы и радіо сообщенія черезъ „Груз. Тел. Аг—во, послѣдн я заграничная и русская почта послѣднія вѣсти изъ Баку, Батума, Новороссійска, Сухума и др. мѣстъ Черноморскаго побережья, информація изъ Крыма, тифлисская хроника и пр,

СТАТЬИ: Передовая—„Грузія Россія и Европа“, Гр. Робакидзе—„Востокъ и Западъ“, Лев. Кипіани—„Мои понедѣльники“, Арк. Аверченко—„Веселая недѣля“; Ал Дроздовъ—„Демократія за рѣшоткой“; А Черный—„Инженеръ, цементъ и комисаръ Гри-Гри—„Замѣтки и др.

Пріем исключительно срочнаго матеріала сегодня и завтра до 12 ч. дня въ типографіи „Грузинскаго т—ва печати“ пр. Руставели д. 26. Редактотъ издатель ГР. ДЖИНОРИДЗЕ.

---

სახელმწიფო თეატრი **ოპერა**

3 ოქტომბერს **აბესალომ და ეთერი**

მონაწ.: ბაიარსკაია, იანსა, ოვსიანიკოვა. ნეიმანი, ზალღავსკაია, ზალიპსკი, დროზდო პოლიაევი, დემიანენკო, კურზატოვი, ქურხული და ეზროვი.

4 ოქტომბერს **დ ე მ ო ნ ი**

5 ოქტომბერს **ფ ა უ ს ტ ი**

---

## ქართული დრამისათვის საჩქაროდ საჭიროა

## თანამშრომელნი

რომელთაც მხოლოდ საღამოობით ექნებათ სამუშაო. მსურველნი უნდა გამოცხადდნენ კვირას, 3 ოქტომბერს, დღის 11 საათზე, სახელმწიფო დრამის თეატრში (ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პრ. № 21) 2—52—1


---

# გაუგონეთ ჰიუსმანსს!..

ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად სახიფათო ეკონომიურ სირთულეში შესცურდა. რამდენიც უნდა იყაროს გამარჯვებულმა სოციალ-დემოკრატიამ, ის არის ამ მდგომარეობის შემქნელი და განმამტკიცებელი. როდესაც ამას ვამბობთ, ჩვენ არ გვავიწყდება არც საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა და არც მისი პირველი წარმოშობი,—მსოფლიო ომი. მაგრამ ამ გარემოებას უფრო ნაკლებად უდევთ წილს საქართველოს ეკონომიური კრიზისის შექმნაში, ვიდრე ჩვენი სოციალ-დემოკრატიის პრინციპის სიმრუდეს ეკონომიურ პოლიტიკაში, ვიდრე მის სრულს მოუმზადებლობას კაცებითაც და ცოდნა-გამოცდილებითაც. ევროპის ქვეყნების ეკონომიურ კრიზისის შექმნაში ხოლო-რუსეთ საქართველოს კატასტროფულ ეკონომიურ მდგომარეობის წარმოშობაში უმთავრესი როლი ითამაშეს რუსეთის ბოლშევიკურმა ქარიშხლიანმა რევოლუციამ და მენშევიკურმა მიმდორებულმა რევოლუციამ რომელიც საქართველოს ზედა პირზე „მკვდარ ტალღებს“ დღემდისაც მიმოაცურებს იქ, სადაც არ მომხდარა, შეუგნებნლთა ბუნტი და აჯანყება, ან სადაც იგი დროზედ ჩააქრეს, იქ სადაც რევოლუცია დაამაგრეს და ქარიშხალი დააბეს,-ხალხები წელში სწორდებიან ეკონომიურად და ძველს მდგომარეობას უკან იბრუნებენ. ამ ქვეყნებში შრომის ნაყოფიერობა და კაპიტალის შემოქმედება ნორმალურ კალაპოტში დგება და ცხოვრება თანდათან უმჯობესდება. ასეა ინგლისში, ასეა საფრანგეთში, ასეა განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში. იქ სადაც ბოლშევიზმი და რევოლიუციური ალტყინებანი ფეთქდებოდნენ, მაგრამ ჩაუქრიათ, მდგომარეობა უფრო ცუდია, თუმცა კრიზისის მაღალი ბარომეტრის დაწევა ამ ქვეყნებშიაც სისტემატიურ ხასიათს ღებულობს. ასეა მაგ. იტალიაში. ამ მხრივ უკეთესობა უფრო თვალსაჩინოა გერმანიაში და ავსტრიაში, რომელთაც წინასწარად ბრძოლის ველზე საშინელი დამარცხება განიცადეს. რაც შეეხება ევროპის იმ პატარა ქვეყნებს, რომელთაც ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, იმათი მდგომარეობა ხომ მეტად მტკიცეა და საიმედო,—იმდენი ოქრო და დოვლათი დაიგროვეს იმ დროს, როდესაც მათი დიდი მეზობლები ერთმანეთს ცხვირპირს ულეწავდნენ. მათ რიცხვშია მაგალითად, შვეცია, ნორვეგია, დანია და სხვა. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესო მაგალითია ამ მხრივ ბელგია, რომელმაც განიცადა საშინელი ნივთიერი და ფიზიკური განადგურება და რომელიც სამი წლის განმავლობაში ხერხემალ ჩატეხილი, თითქმის სრულიად გასრესილი, იწვა მთელი გერმანიის კოლონალური ფოლადიანი სხეულის სიმძიმის ქვეშ. ეს მდგომარეობა ბ-ნმა ჰიუსმანმა უბრალოთ, მაგრამ დიდის სიმართლით დაასურათა ჩვენი მუშების წინაშე, ნაძალადევის კლუბში. მოქალაქე ჰიუსმანსმა სთქვა, ჩვენებიც ჭკუის დასარიგებლად, რომ ბელგიის პროლეტარიატს შეეძლო რევოლუციის მოხდენა, რომ ადვილი საქმე იყო ბოლშევიკური მეთოდის და იდეალის დაცვა ბელგიის მუშათა წასაღელვებლად და ქუჩაში გამოსაყვანად, ყველაფრის დასამხობათო. სამწუხაროდ ეს ასეა. საერთო დუღილის დროს მაინც განსაკუთრებით ადვილია მუშების მღელვარების შექმნა, მისი მადის გაღვიძება და კარგათ გაძღომის მისაღწევად სხვის საკუთრებაზე მისევა. მაგრამ ბელგიამ ამას ვერდი აუარა, ეს დიდ შეგნებაში უნდა ჩამოერთვას ბელგიის მუშათა ხალხს. აქ უნდა ითქვას, რომ ბელგიის სოციალიზმი ძალიან განირჩევა მის დიდი, თუ პატარა მეზობელი ქვეყნების სოციალიზმისაგან. ის არ არის მყვირალა, ის არ არის რევოლუციის ქარიშხლის მომლოდინე სხვისი ქონების ხელში ჩასაგდებათ. ის მძამე ევოლუციონისტია; ბელგიის სოციალისტი მუშის ენერგია დაბანდებულია ყოველდღიურ ნივთიერ შემოქმედებაში და ამ შემონაქმედის დაზ გვაში, დაგროვებაში. მისი სოციალიზმი პრაქტიკულად გამოისახა სხვა და სხვა ტიპის კოოპერატივებში, ხოლო მისი პოლიტიკური პრაქტიციზმი ბელგიის პროლეტარიატის საყვარელი ბელადის, ემილ ვანდერველდეს, ბელგიის მეფესთან უახლოვეს თანამშრომლობაში!! აი ამ ტემპერამენტმა ამ შეგნებამ, ამ მისმა ეროვნულმა თვისებებმა უშველა ბელგიას და იხსნა იგი რევოლიუციის უბედურებისაგან. შედეგად ის მოჰყვა – ვალაპარაკოთ ისევ მოქალაქე ჰიუსმანსი რომ „მალე ჩვენს ქვეყანაში (ბელგიაში), რომელიც ეკონომიურად განვითარებულია და მთა-მაღაროებით აა დაფარული, მაღაროებში, ერთი წლის შემდეგ (ომის გათავების შემდეგ), იმდენი საქონელი დაამზადეს, რამდენიც ომამდი!! მუშები ერთგულად მოეკიდნენ საქმეს, კაპიტალმა, რო იშოვა თავისი ერთი უდიდესი აგენტის გონიერი დახმარება, ფრთა გაშალა და ქვეყანამ საერთოდ იწყო დოვლათით და სიმდიდრით ავსება და მთელი ერთი მილიონი ბელგიელი მუშა, რომელიც, ომის ლიკვიდაციის შემდეგ, უმუშევრათ იყო დარჩენილი და საზოგადოებრივი დახმარებით სცხოვრობდა, დღეს დაბინავებულია, იგი ჩადგა მუშაობაში და პატრონსნად ჰქმნის ნივთიერ ღირებულებას... ყველა ამის შემდეგ, საქართველოს ეკონომიური კრიზისის ახსნა, მსოფლიო ომი და ბურჟუა-კაპიტალისტების იმპერიალიზმით, ეს არის უსაზიზღრესი დემაგოგია და ხერხი ჩვენი სოციალ-დემოკრატიის, საკუთარი უსუსურობის, მათი პოლიტიკის დამღუპველობის, მასი შეუგნებლობისა და მუქთახორობის მისაჩქმალავად!!

რა მოხდა ისეთი, რომ იმ ქვეყანაში, სადაც რევოლიუცია, „ფუსტით მიიღეს“ (ნ. ჟორდანიას სიტყვა), სადაც აუარებელი ქონება, სურსათი და სანოვაგე დარჩა ომსა და რუსეთის რევოლიუციას, საკუთარ მიწაზე მოწეული საზამთრო ოთხი სი მანეთი ფასობს, სადაც გირვანქა მჭადი ახალ შემოდგომაზე 80 მანეთი, კვერცხი 15—20 მ., ერბო 500—600 მ.?!

ის მოხდა, რომ ყველას იხვის საკუთრებაზე უჭირავს თვალი, ყველა წართმევაზეა, სოციალ-დემოკრატიის ლაშქარი მუშტზე და მუქარაზეა.

ხდება თავის თავის მანიაკური გადაფასება. მუშა არ ამართლებს გასამრჯელოს, რასაც ჰქმნის ასჯერ იმაზედ მეტი მიაქვს... ჩვენში სუბუქი შოვნის პსიხოზია და ძალმომრეობის ვაკხანალია. ერთიც და მეორეც სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგიამ და დემაგოგიამ წარმოშვეს და განამტკიცეს. დროა ყოველივე ამას ბოლო მოეღოს. დროა რევიზია და კონტროლი მოუხდინოს თავის მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგებს სოციალ-დემოკრატიის პასუხისმგებელმა წრემ!

კარძო პირებმა და საგნებმა თავ-თავისი ადგილი უნდა მოსძებნონ და იქ დადგნენ.

თქვენმა ევროპიელმა ამხანაგებმა შეამჩნიეს რომ უფსკრულის პირას ვდგევართ და ეს გაცნობესთ კიდევაც თავიანთ ზრდილობიან რჩევაში, ნაძალადევის მუშათა კლუბის ტრიბუნიდან. მათთვის ძვირფასნი ხართ, რამდენადაც სოციალისტებს ხელთ უპყრიათ სახელმწიფო მთელი მისი ძალა-უკლებით და რამდენადაც, ამის გ მოისობით, თავისუფალნი ხართ სოციალისტურ შემოქმედებისათვის. ეშინიანთ, რომ ამ უფსკრულში გადაიჩეხებით და რომ ქვეყნიერობის ზურგიდან გაქრება სოციალისტების ერთად ერთი ახალი სახელმწიფო, რომელსაც ყური ჩამოუგდია, როგორც ავადმყოფ ყვავილს, მიუხედავათ იმისა რომ მას ათბობს საქართველოს მზის მხურვალება და ასაზრდოვებს საქართველოს მიწის ნაყოფიერობა! მათ თავისი გულის ტკივილი აქვთ... მაგრამ ჩვენც გვეშინია თქვენი ბავშური სიცელქის და ავადმყოფური ჟინის, თუმცა სხვაა ჩვენი ტკივილი და მოტივი!

თქვენის დამღუპველი პოლიტიკით, თქვენი დამაქცევარი ზრახვებით წადილით და მეთოდით—თქვენ გვიქცევთ საქართველოს და გვარღვინებთ მის დამოუკიდებლობას, რომელიც ყველაფერზედ უწმინდესი საგანია ჩვენთვის და გამართლებაა ჩვენი ამ ქვეყნად სულის დგმის... გამოსავალი?—ჰიუსმანსის რეცეპტია—უსმინეთ ჰიუსმანს...

# ულონობის ანარეკლი.

## „ერთობა“ და „ბანი“.

დემაგოგიის მორევში მოექცა და იხრჩობა. მათი აკვანი იყო დემაგოგია, დღ-

ეს ეს დემაგოგია მათი სუფრაა, ხვალ იგი მათი საფლავი უნდა გახდეს. არ აქვთ აზრი, არ აქვთ ფაქტი, არ აქვთ არც მოქალაქის მაღალკეთილშობილება, რომ ჩვენს მხილებას და ბრალდებებს, რომელიც ფაქტებით და საბუთებით მომარაგების სამინისტროს წარუდგინეთ, პასუხი გასცნენ საბუთებითვე, ფაქტებითვე, ან რაიმე ზოგადი დებულებებით. ბრაზმორეული, გრძნობა შეწუხებული და მხილებული, მთელი მთავრობისა და თვითეულთ სამინისტროსი დაზევებულ ვექილობაში, „განი“ და „ერთობა“, ვერაფერს იმაზედ უფრო კეთილშობილს და დამაჯერებელ საბუთს ვერა პოულობენ თავიანთ გონების საღაროში და მოქალაქეობრივი მოვალეობის სინიდისში, —ვიდრე ეს შემდეგი სიტყვებია:

„საქართველო“ „დაქირავებულია“; „საქართველო“ „ფრანკების სპეკულიანტია“ „საქართველო“ იმიტომ ეძგერა მომარაგების სამინისტროს, „რომ ახალი კომბინაციის ხელშეკრულება ჯიბეში უდევს;“ „საქართველო“ არის „ქუცი-ქუცი მურია ვინც ლუკმა პურს გადაუგდებს, იმის შინაურია;“ და სხვა და სხ... ყოველივე ეს მოწმობს „ერთობა“-„განის“ სრულს კაპიტულიაციას, როგორც ფაქტებისა და საბუთების მხრივ, იმ დიდი პრინციპიული და საზოგადოებრივი ხასიათის კამათში, რომელსაც გაზეთი „საქართველო“ აწარმოებს,—ისე ზნეობა გონების სიმდიდრისა და ბუნების სიფაქიზის მხრივ...

ჩვენ ვასრულებთ ჩვენს მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობას ჩვენი სამშობლოს კეთილსაყოფელად, იმ სამშობლოში, რომელსაც „განები და „ერთობები“ ყოველის ღონით ქირდავდენ და რომლის დამოუკიდებლობას ისე ებრძოდნენ როგორც ჯოჯოხეთის ბოროტებას და რომლის მონოპოლისტებად დღეს იგივე „განები“ და „ერთობები“ გამოდიან.

ყოველ პატიოსან პოლიტიკურ მოღვაწეს, გარდა ჟონგლიორებისა და აკრობატებისა, შერცხვებოდათ ასეთი უხამსი ყოყლოჩინობისა, მაგრამ „განი“-„ერთობა“ სწორედ ჟონგლიორი და აკრობატია!

ჩვენი კამათი პრინციპიულია, ან უფრო სწორედ ჩვენი დავა ჯერ ერთგვარი რევიზიის გამომჟღავნებაა და მერე მხილება იმ შინაურობისა და გახრწნილების, რომელიც დასადგურდა მომარაგების სამინისტროში, სადაც ქართველი ხალხის მილიარდები ყირამალა დადიან. ჩვენი კამათი გამომჟღავნებაა ამ შემთხვევაში მომარაგების სამინისტროში გამეფებული ვაჭხანალიის და რამდენადაც „განი“-„ერთობა“ ჩუმი მოდასტურენი ან მართლაც „დაქირავებულნი“ ვექილები არიან ამ სამინისტროსი, იმდენად ჩვენი კომპანია მათი ვაკხანალიის მხილებაც არის და გმობაც.

გვიკამათეთ პატიოსნად: თუ მართალი არაა ჩვენი ზოგადი შეხედულებანი და აზრები მომარაგების სამინისტროზე, თუ სწორი არაა, ან თუ უადგილოა ჩვენი საბუთები, თუ უზნეობაა საზოგადოთ მოქალაქის მოვალეობის აღსრულება რამდენადაც იგი გამოითქმის იმ სამინისტროს მხილებაში, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავს და რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე— აი ეს გვიჩვენეთ, ამაში დაგვაჯერეთ ამაში დააჯერეთ ნეიტრალური საზოგადოებრივი აზრი, არა ლანძღვით, არა უწმაწური გინებით, არა სხვის გულში ფათურით, არამედ საბუთებით, ფაქტებით, ლოღიკით, თეორიული და საზოგადო მოსაზრებებით და დებულებებით. და ჩვენ მაშინ გავსჯით საზოგადოებრივი აზრი, ეს ერთგვარი მესამე პირი უხილავი და მიუდგომელი, რომელსაც აქვს მეფის ძალა და დიდი ზნეობრივი ღირებულება...

თორემ იმ თქვენი დემაგოგიით და წუმპის ნიხევით, რომლის ზოგიერთი მაგალით ზევით მოვიყვანეთ, თქვენ ვერც ერთ ჩვენს ბრალდებას ვერ გააბათილებთ:

მომარაგების სამინისტრო დარჩება ისევ ისე უთავბოლობის, ბოროტების და ქვეყნის დაღუპვის სამინისტროდ,

კახელაძეები ორას-ორას ათასობით ორ თვეში ერთხელ კიდევ მიიღებენ ჯილდოს, ერაძის პირადი განკარგულების ძალით. როგორც პროცენტს საოპერაციო თანხიდან;

სამინისტრო კიდევ გააფრთხილებს თავის რწმუნებულს, მოვდივარ, უნდა რევიზია გიყო, საზოგადო აზრის დასაშოშმინებლად, და კარგად დამხვდიო.

და დასკვნად ყოველივე ამისა,—

თბილისის მოქალაქის, რომელიც თბილისში შიმშილით კვდება, თავისი ოჯახიდან, სოფლიდან გამომცხვარა პური ვერ ჩამოუტანია, ბორჩალო, ახალციხიდან ლობიო —კარტოფილი ვერ ჩამოუზიდნია... დღითი დღე ყველაფერი ძვირდება; ქვეყანას ჯოჯოხეთის გველიშაპი ხახა დაბჩენილი უახლოვდება და გადაყლაპვას უქადის...

„განი“ და „ერთობა“ ჩემოაღნიშნული დემაგოგიით და ლანძღვით ამ ბრალდებებს ვერ გააქარწყლებენ და საქართველოს ამ უბედურებას ვერ აიცდენენ. უფრო პატარა საქმეა „საქართველო“ და მისი რედაქცია, მაგრამ მასაც ვერ გააშავებს „განის“ და „ერთობის“ უღირის ლექსიკონი!!

## „ნაციონალისტის“ №-1-ის მოტივები

„ნაციონალისტის“ რედაქტორმა, დამფუძნებელი კრების წევრმა, ბ-ნ გრიგოლ ვეშაპელმა, უეცრივის სარტალმარტალით, „კლდე“ „ნაციონალისტად“ აქცია და პირველსავე ნომერში, სხვათა შორის ჩვენც „შხამით და გესლით“ დაგკვბიჩა ჩვენ გამოვსთქვით ვარაუდით ის აზრი, რომ ამ შემთხვევაში, ვეშაპელს, რომელსაც კარგად ვიცნობდით და რომელსაც ვზოგავდით, მარტო პირადი მოტივები შეიძლებოდა ჰქონოდა.

მართლაც, გამოირკვა, რომ ცენტრო ბანკს ვეშაპელი მისთვის შეხვია, რომ მისგან სესხის აღება ვერ მოახერხა, რომ სესხი აეღო, მაშინ ცენტრო ბანკი— „ცენტროსპეკულიანტად“ არ გახდებოდა და ბ-ნ ვეშაპელის მოქალაქობრივი შეგნება და პრინციპიც მშიძინებდა.

როგორც ვწერდით, გატენილი პეტარდის ამაფეთქებელი პატრუქი მართლაც სხვას სჭირია ხელში—ცენტრო ბანკს.

ერაძის გამოქომაგება და ჩვენს წინააღმდეგ სოციალისტების ჯამში ჩახედვა—შედეგია ერაძის თეთრი ქაღალდის შეძენის სურვილისა სამინისტროს მტკიცე ფასეში.

აქაც პეტარდის პატრუქს ცეცხლი სხვამ წაუკიდა, ერაძის ქაღალდმა... „კოსმოსის“ ქირდვა დამფუძნებელ კრებაში და „კლდე“—„ნაციონალისტში“ გრ. ვეშაპელის მიერ—შედეგი ხომ არ ყოფილა, „ნაციონალისტი“, „კოსმოსის“ წინაშე და სუბსიდიის უშედეგო ძებნისა?! აქაც „პეტარდას“ გარედან წაჰკიდებია ცეცხლი და აფეთქებულა,.. ასეთია „ნაციონალისტის“ და გრ. ვეშაპელის „პრინციპები“ და „მოტივები“.

დღეს თვის უძლურებაში და სიბრაზეში „განი-ერთობა“ დაემყარა „ნაციონალისტ“—ვეშაპელის ინსინუაციას და მას გულში იხუტებს, როგორც მხსნელ არგუმენტებს, ჩვენს წინააღმდეგ.

„ერთობა“-განმა დაივიწყეს რას სწერდნენ ვეშაპელის შესახებ, დაივიწყეს, რომ გრ. ვეშაპელი: „ვაგონებში და საბილეთო კასაში ახდენს პოგრომებს“; „რომ ქართველ პურიშკევიჩს ქვეყანა იცნობს თვის სკანდალებით და თავხედობით“; „ბატონ ვეშაპელისაგან ბევრს უზრდელობას მოველით, მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ ჩემს თვალწინ მთელი თავისი საზიზღრობით და სიშიშვლით დაიხატა კაცი-ჭამია ქართველი, სწერდა „ერთობა“ როცა ებრძოდა გრ. ვეშაპელის მიერ ბორჯომში ჩადენილ სკანდალს დღეს ამ საქირთველოს სახელის გამტეხს, ამ კაცი-ჭამიას, ამ სკანდალისტს „ერთობა-განი“ ჩვენს წინააღმდეგ, ფარად იყენებენ თუმცა იციან, ფასი ვეშაპელის ინსინუაციებისა.

ჭეშმარიტად ცუდათ ყოფილა ან უკანონო ტყუპების საქმე...

## რევიზიის შედეგი.

ქართული სოციალიზმის რევიზია როგორც იქნა დამთავრდა. რასაკვირველია მენშევიკები ჩვეულებრივად შეეცადენ, თავიანთი იდეოლოგიური კომბინაციები თავბრუდამხვევ მიტინგებში, შეზარხოშებული სუფრის სიტყვებში, გახუნებულ დროშებში და გრილიანდებში დაემალათ, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება და ევროპიული ხაზეინების შეგირდებს საკმაოდ ყალბი დოკუმენტები აღმოაჩნდათ.

იმერეთის გლეხების წინაშე შოუმ თავისი ირონიით პირდაპირ თავი მოსჭრა ჩვენს მენშევიკებს:

„ჩვენში სოციალისტებზე ხელის საჩვენებლად უთითებენ, აქ კი მთელი ხალხი ჩირაღდნებით გვხვდებაო“.

შოუ ისეთი ქვეყნიდანაა, სადაც სოციალიზმს სული შთაესახა და ხორცი შეესხა, მაგრამ სადაც დავაჟკაცებისას გულში წყალი ჩაუდგა და თირკმლები დაულპა; ამ დაავათმყოფებული მომვრებას დღეს საქართველოში აგარაკებზე შეხვდენ ევროპის სოციალისტი დოსტაქრები და ვის უნდა დაუჯეროთ უფრო, რომ ამ ავადმყოფის მორჩენა არ შეიძლება:

ერაძის სამინისტროს თუ შოუს სამშობლოს?

ავროპა ამერიკაში თავის დროზე ყოველგვარი ზომები იყო მიღებული სოციალიზმის განსახორციელებლად, ობიექტიური თუ სუბიექტიური პირობებიც მის სასარგებლოდ მეტყველებდნენ, მაგრამ მსოფლიოში არც ერთს უტოპიას არ შემოღამებია ისე უდროვოდ, ისე უღვთოდ, როგორც „კაპიტალი“-ს ავტორებს.

ვინ დაიჯერებს, რომ საქართველოში შეიძლებოდეს იმ მოძღვრების წამლობა და მორჩენა, რომელიც ისტორიამ გასწირა, ევროპამ დაივიწყა, და რომელსაც ჩვენმა მენშევიკებმა სოფლის ფერშლები, გაპარცული მღვდლები დიაკვნები და საწვრიმალვოების ნოქრები მიუსია.

ეს დიდი თვალთმაქცობა, ეს იდეოლოგიური ჯამბაზობა ქართველი სოციალისტებისა“ ევროპიელებმაც ისე ჩამოართვეს ჩვენს მენშევიკებს, როგორც ყალბი დოკუმენტები.

რამდენი დაცინვაა ჰიუსმანის შემდეგ სიტყვებში:

„გუშინ ვნახე ფოთი, იქ მუშაობს 2,000 მუშ ; ჩვენს ერთს ნავთ-საადგურში ანტვერპენში კი მუშაობს 224,000 მუშა“.

„თქვენ გაქვთ რკინის გზები, მაგრამ სადაც თქვენ გაქვთ 1 ვერსტი რკინის გზა, ჩვენა გვაქვს 1000 ვერსტი. ჩვენ გვაქვს განვითარებული ინდუსტრია; თქვენი ინდუსტრია მხოლოდ ჩანასახშია“.

ამაყი ბელგიელი თანდათან როლში შედის და ირაინიაც უფრო უხავილდება:

„თქვენ გაქვთ ნაყოფიერი მიწა, მუშაობთ ჩვენზე ათჯერ მეტსა და მოგდით სამჯერ ნაკლებს“.

არ ვიცით მენშევიკებმა როგორ გაიგეს ეს, ჩვენი აზრით კი ქართულ სინამდვილესა და აზროვნებას შორის ასეთი სიყალბის აღმოჩენა მენშევიკების ქვეყანად გამოჭენება;

საზეიმო ზიზილ-პიპილებმა საშუალება არ მისცეს ევროპიელ რევიზორებს უფრო ახლოს გაეცნობოდენ თბილისის „ნემსის პროლეტარიატის“ იდეოლოგიას, თორემ ყალბი დოკუმენტები უფრო მეტი გამოიხატებოდა.

ნაჩქარევმა რევიზიამ კი ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გამოარკვია შემდეგი იქ სადაც არის ინდუსტრია, არ არის სოციალიზმი, იქ სადაც არის სოციალიზმი, არ არის ინდუსტრია; სოციალისტების ტრაგიზმიც ამ უსწორ მასწორობაში იმალება. მათ უნდათ, ჯერ ინდუსტრია შემდეგ სოციალიზმი; საქართველოში კი წინააღმდეგი ნახეს.

ამ უხერხული მდგომარეობიდან სოციალისტებს ჩემის აზრით გამოიყვანს კარლოს კაუტსკი ავტორი ორი ცნობილი ბროშიურისა: „ამერიკისა და რუსეთის მუშათა კლასისა“ და „სოციალური რევოლიუციისა“.

საქართველოში იგი უთუოდ დასწერეს მესამე ბროშიურას იმს შესახებ, რომ სოციალიზმი არც იქ განხორციელდება სადაც სიმდიდრე არის, და არც იქ სადაც სიღარიბეა.

ეს იქნება ლოღიკის უბრალო ღატივისცემა და მენშევიკების ყალბი დოკუმენტების ფაბრიკაციისაგანაც ქვეყანა განთავისუფლდება.

კ. მ.

# დეპეშები.

## ლიონის ცნობები

**იაპონის ელჩი პარიზში**

იაპონიის ახალი ელჩი პარიზში ხუთშაბათს დილით ჩამოვიდა. 1912 წლიდან 1916 წლამდე იგი იმყოფებოდა პარიზში როგორც იაპონიის წარმომადგენელი: „მე შემეძლო დამეფასებია საფრანგეთის მშვიდობიანობის მოყვარეობა და მისი მთავრობის მიერ მიღებული ზომები, რათა როგორმე თავიდან აეცდინა ომის დაწყება, მე მოწამე ვიყავი იმ პატრიოტული აღთრთვანებისა, რომელითაც გაისჭვალენ ფრანგები მტრის შემოტევაზე პასუხის გასაცემად. იაპონია და საფრანგეთი იცავენ ურთიერთშორის მეგობრულ დამოკიდებულებას და ახლა უკვე მოკავშირეები არიან. მე ვეცდები გავამაგრო და განვამტკიცო ეს კავშირი. მე ბედნიერი ვარ აღვნიშნო, რომ ამ ორ ერს შორის არ არსებობს საბაბი უთანხმოებისა, თქვენ დიდი მოვალეობა გაწევთ, უნდა დაამკვიდროთ მშვიდობიანობა. ვერსალის ხელშეკრულებას განხორციელებით და ხალხთა ლიგის საქმის განვითარებით, საფრანგეთი მალე მიაღწევს ძველ მდგომარეობას, და არც ერთი ქვეყანა არ იქნება მოხარული ისე, როგორც იაპონია რომელიც ბედნიერათ სთვლის თავს იაროს საფრანგეთთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ცივილიზაციის და პროგრესის დასაცავად.

## მოსკოვის ცნობები.

**არეულობა სიცილიაში.**

ბერლინი ენკენისთვე 28. სიცილიაში შეიკრება 50.000 გლეხი წითელი დროშებით და მიწა მოითხოვა

**ქრისტიანია.** ენკენისთვე 29. ტრანსპორტის საერთაშორისო მუშათა კავშირის მდივანმა განაცხადა: პოლონეთი კვლავ ღებულობს კაზმულობას. ეჭვი არაა დამტვირთველებმა არ იციან, თუ სად იგზავნება დატვირთული გემები. ის მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს, რომ ფხიზლათ იყონ.

**რეველი.** ენკენისთვე 2, ვრანგელმა მეორეჯერ განაცხადა, რომ მისი ჯარი ახალ თავდასხმისათვის ემზადება. ჩვენ მზათა ვართ ვიმუშავოთ იმათთან, რომლებიც ჩვენს საერთო მტერს ებრძვის.

**მორიგი ამოცანა.**

**მოსკოვი** მოსკოვის კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტმა ამხ. კამენევის მოხსენების შემდეგ რესპუბლიკის სამხედრო და საგარეო მდგომარეობის შესახებ მიიღო ასეთი შინაარსის რეზოლიუცია: საბჭოთა რუსეთის მშრომელ ხალხის უმთავრესი მიზანია დღეს პოლონეთის წინააღმდეგობის ძალევა და ვრანგელის განადგურება. მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების ვალია თავისი ძალები ამ მიზნით აამუშავონ. ვრანგელისა და პოლონეთის ფრონტებზე გადაწყდება მხოლოთ პროლეტარულ რევოლიუციის ბედი. საბჭოთა რუსეთის ყოველი მოქალაქე ვალდებულია პირდაპირი დახმარება გაუწიოს ფრონტს.

## საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

**პონტო და ანატოლია.**

**საბერძნეთის მისიის ცნობა.** ათინის გაზეთის „ეთნოსის“ ცნობით პონტსა და ანატოლიაში ქემალისტების მხედრობამ მიიპყრო საფრანგეთისა და ინგლისის ყურადღება. ამ სახელმწიფოებში დაიბადა აზრი, თუ ოსმალეთი ვერ შეასრულებს სამშვიდობო ხელშეკრულებას, მაშინ შეიქმნეს ავტონომიური პონტი.

**სმირნის ოლქი**

ათინა. ვენიზელოსმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი სმირნისა და მისი ოლქის ადმინისტრატიულ მართველობის შესახებ. ზევიდან მთავრობის მიერ დაინიშნება ადმინისტრაცია, რომელსაც დაემორჩილება ყველა ადგილობრივი მთავრობა და მათ შორის სამხედრო. ადგილობრივი პარლამენტის არჩევამდე უმაღლესი კომისარი შეასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს დეკრეტების გამოცემით. უმაღლეს კომისარს შეუძლია დაარსოს უნივერსიტეტი მაჰმადიანთა თეოლოგიური აკადემია და სხ.

საინფ გან

**სომხეთი საქართველო.**

საქართველოს კოოპერაციულ კავშირის თავმჯდომარემ დარჩიამ „აიკოპის წევრებთან ერთად ინახულა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბეკზადიანი და საქონლის გაცვლის შესახებ ქონდათ ხანგრძლივი მოლაპარაკება. ბეკზადიანი შეპირდა დახმარებას როგორც საქონრის გაცვლა გამოცვლაში, ისე მეკინის სახაზოდან ტრანზიტი საქართველოში ხორბლის შემოტანაში.

ენკენისთვის 30 თბილისს მოვიდა სომხეთის მთავრობის ყოფილი მინისტრი კაჩაზნუნი, რომელიც მინისტრთა თავმჯდომარის ვაგონით, სამშაბათს ერევანს წავა.

**მცირე ანტანტა**

პარიზი, რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იონესკუ პარიზს მივიდა. მან გაზეთის თანამშრომელს შემდეგი განუცხადა: საბერძნეთისა და რუმინეთის მცირე ანტანტაში შესვლა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მცირე ანტანტა იქნება სახელმწიფოთა ჯგუფი 80 მილიონ მცხოვრებით, რომელიც საჭიროების დროს 10 მილიონ ჯარს გამოიყვანს. იონესკუს თქმით ასეთი ანტანტის დაარსებას ვენიზელოსმა და მან 1919 წ. ჩაუყარეს საფუძველი. მას შემდეგ რუმინეთმა მოსპო უნგრეთის ბოლშევიზმი და საბერძნეთმა დაამარცხა ქემალისტები. ამ გამარჯვებამ რუმინეთი და საბერძნეთი გააძლიერა. სამხრეთ ევროპის ეს კავშირი რუსეთ გერმანიის კავშირის წინააღმდეგ იქნება, ბულგარეთის 4 მილიონი მცხოვრები 28 მილიონ ბერძენ, რუმინელ და სერბიელთა მიერ გარს შემორტყმული საშიში არ იქნება.

## ყირიმის ცნობები.

— **სევასტოპოლი.** ენკ. 27. (რადიო) ყველა ფრონტზე სხვერავები ენერგიულად მოქმედებენ.

— **სევასტოპოლი** ენკ. 27. (ვარშავაში დაჭერილი რადიო)

**ვარშავში გენერ მარკოვს.** ჩვენმა ჯარმა წითლების არიერგარდი დაამარცხა. სად. სინელიკოვოს უტევს. წამოვიყვანეთ ტყვეები დნეპრზე ხერსონის ახლოს გამოირკვა, რომ წითლები შეეცადენ ჩვენს ნაპირად გადმოსვლას. ალექსანდროვსკსთან ჩვენი ჯარი წითლებს ავიწროებს. წამოღებულია მრავალი ნადავლი.

## საქართველოში მყოფი რუსეთის საბჭოთა მთავრობის მისიის ცნობები.

**ამერიკა და ვრანგელი.**

ბათომში. ენკენისთვის 30. ბათომის ცნობით ენკენისთვის 20 დან 22 მდე სევასტოპოლში მოვიდა 11 დიდი ამერიკული გემი, რომელთა 4 ფქვილითაა დატვირთული, დანარჩენი კი სამხედრო მასალებით.

**უელსის ჩამოსვლა.**

პეტროგრადი. ენკენისთვის 30 ს, (რადიო მოსკოვიდან) საბჭოთა მთავრობას კონსტიტუციას გასაცნობათ რუსეთში ჩამოვიდა ცნობილი ინგლისელი მწერალი უელსი.

**ლიტვის მთავრობის ევაკუაცია.**

პეტროგრადი. ენკენისთვის 30-ს. (რადიო მოსკოვიდან.) ლიტვის მთავრობა, კოვნოდან ვილნოში გადადის.

## დე-ბრიუკერი საკანონმდებლო პალატაში.

გუშინ 2 ღვინობისთვეს სოციალისტურ დელეგაციის წევრი დე-ბრიუკერი, რომელიც მცირე ხნით საქართველოში დარჩა, ეწვია ბ-ნი ვარლამ ჩერქეზიშვილის თანხლებით საკანონმდებლო დაწესებულებას, რომლის კომიტეტთან ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა საქართველოს ვაჭრობამრეწველობის შესახებ. ბაასმა რამდენიმე საათი გასტანა.

## ვ. სულაკველიძის დანიშვნა.

თბ. მილიციის უფროსი ვ. სულაკველიძე დაინიშნა ბათომის ოლქის ადმინისტრაციის დროებით უფროსად. მას დაექვემდებარება ყველა თანამდებობის პირნი ადმინისტრაცია და მილიცია.

## ეროვ. დემოკ. პარტიის მთავარ ბიუროს ცნობები.

**მთავარი კომიტეტის სხდომა.**

კვირას ოქტომბრის 3-ს შუადღის 12 საათზე დანიშნულა მთავარი კომიტეტის სხდომა. ყოველი წევრის დასწრება სავალდებულოა.

**თბილისის მოწაფეთა საყურადღებოდ**

კვირას ოქტომბრის 3 ს დილის 10 საათზე მთავარ კომიტეტის ბიუროში (დამფუძნ. კრებ. ქ. № 5 ქარვასლა) დანიშნულია თბილისის ვაჟთა და ქალთა სასწავლებლების ეროვ. დემოკრ. მოსწავლეთა წარმომადგენელთა ყრილობა; საორგანიზაციო საკითხებისათვის მოსწავლეებს ეძლევათ წარმოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი.

სტუდენტთა და მოწაფეთა მთავარი კომიტეტი.

# ქალაქში.

## მთავრობაში.

— **მთავრობის ზომები. მატყლის ფასი.** მთავრობამ სექტემბრის 28 სხდომაზე დაადგინა დააწესოს მეცხვარეთათვის ფუთი მატყლის ღირებულება 2,000 მან.

— **გოგირდის აბანოების ექსპლოატაცია.** მთავრობამ დაადგინა დაამტკიცოს საიჯარო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც შეიმუშავა მიწად მოქმედების სამინისტრომ ქალაქის თვითმართველობასთან ერთად, მირზოევის ყოფილი აბანო მას შემდეგ, როცა შესრულდება ვადა დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოების, იჯარით ქალაქის თვითმართველობას გადაეცემა.

## მუშათა ცხოვრება.

— **შრომის ნაყოფიერება.** შრომის კომისარმა დაათვალიერა სად. ქანში ანდრეოლოტის ანგურისა და კრამიტის ქარხანა და შენიშნა, რომ შედარებით 1919 წელთან შრომის ნაყოფიერება დაცემულა. ამის შესახებ მოსალაპარაკებლად შრომის კომისარმა მოიწვია ამ ქარხნის მუშათა კრება და განუმარტა მათ რომ შრომის ნაყოფიერებაში თვით მუშები უნდა იყვნენ დაინტარესებულნი. და ამ მხრივ მუშებისაგან უნდა იქნას ენერგიული ღონის ძიება მიღებულიო. ამასთანავე შრომის კომისარმა ანდრეოლოტის ქარხნის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტს წერილობითი მოწოდებით მიმართა თვალყური ადევნოს რათა მუშებმა კეთილ სინდისიერათ შეასრულონ თავისი მოვალეობა.

— **მუშების გაფიცვა.** მუშათა პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატმა დაამტკიცა მეტყავეთა კავშირის დადგენილება 26 მუშის კავშირიდან გაძევების შესახებ კავშირის დაუკითხავათ გაფიცვის გამოცხადებისათვის. გაფიცვა გამოუწვევია მუშათა მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობას. მუშებს დადგენილ ჯამაგირზე მეტის მიღება მოუთხოვნიათ.

— **სავალიუტო ოპერაციები.** სახელმწიფო ბანკი იუწყება, რომ სავალიუტო ოპერაციების შესახებ სავალდებულო დადგენილება სექტემბრის 28 შედის ძალაში.

— **საერთო სანოვაგის მიწოდება მუშებისათვის.** სეკრეტარიატის დადგენილებით კვირას ოქტომბრის 3 შესდგება კრება მუშებისათვის სურსათ სანოვაგის მიწოდების გამოსანახავად.

— **მუშათა კოოპერატივი.** სეკრეტარიატმა დაადგინა: რომ მუშათა კოოპერატივის წევრებად შეუძლიათ იყონ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც დაქირავებულ შრომით ცხოვრობენ, და რომელთაც აქვთ უფლება პროფესიონალურ კავშირის წევრებისა. პაი 1,000 მან. არის განსაზღვრული, შესასვლელი თანხა კი 100 მანეთით.

## სხვა და სხვა.

— **თუთუნის მონოპოლია.** იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი თუთუნის მონოპოლიის წესების დარღვევათა სისხლის სამართლით დასჯის შესახებ. იუსტიციის სამინისტრომ ეს პროექტი კანონების გადამსინჯავ კომისიას გადასცა.

— **ბათომის განყოფილება.** სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების მმართველად დ. ვაჩნაძე დაინიშნა. მახლობელ დღეებში სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებასთან მოეწყობა სავალიუტო კომიტეტი.

— **ბინის რეკვიზიცია.** მთავრობამ დაადგინა მიეცეს სურამის ქალაქის თვითმართველობას წინადადება, რომ ორი კვირის განმავლობაში დასცალოს და დაუბრუნოს მონაზონს თავისი ბინა, რომელსაც სურამის ქალაქის თვითმართველობამ რეკვიზიცია გაუკეთა.

— **მოხსენება პურის გამოცხობის შესახებ.** სეკრეტარიატის სხდომაზე ი. ჩხენკელმა წარმოადგინა მოხსენება კომისიის მუშაობის შედეგებზე და ხორბლის დაფქვის და პურის გამოცხობის ყველა დაწესებულებათა რევიზიის შესახებ. კომისიამ დაათვალიერა 9 წისქვილი და 1 ორთქლის წისქვილი, ყველა საცხობები და ფურნეები № 2 და 3— პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ დასაფქვავი ხორბალი უვარგისია. ხორბალი უვარგისია. ხორბალში აღმოჩნდა ბრავალი ღვარძლი და ხორბლის სხვა გამაცუდებელი ნივთიერებანი, აგრეთვე მტვერი და ჩენჩო. 10 წისქვილში მხოლოდ ორი მუშაობს კარგათ და კარგ დაფქულს იძლევა 2 წისქვილში არის ხორბლის გასაწმენდი მანქანა. 3 წისქვილში შეჩერებულ ა ტყავის უქონლობის გამო. ორთქლის წისქვილში არის მატორი, მაგრამ არ მოქმედებს. მომხსენებელი იმ აზრისაა, რომ ზოგიერთ დეფექტების შესწორება ადვილი მოსახერხებელია. მდგომარეობის გაცნობის შემდეგ გამოირკვა, რომ პურის გაუმჯობესება ადვილად შეიძლება. ფურნეების დათვალიერებიდან გამოირკვა, რომ მუშებს პურის უვარგისობაში ბრალი არ უდევთ. უმთავრესი მიზეზია საცხობების უვარგისობა. აუცილებელია წისქვილების და საცხობების გაუმჯობესება. სეკრეტარიატმა მოისმინა რა მოხსენება დაადგინა: წერილობითი მოხსენება წარუდგინოს მთავრობის თავმჯდომარეს შრომის და მომარაგების სამინისტროს ამასთანავე სეკრეტარიატი თხოულობს პასუხის გებაში მიეცეს ის პირები, რომლებიც დამნაშავენი არიან საქმისადმი ბოროტმოქმედებაში და უყურადღებობაში.

— **ცერკულიარულიდ დეპეშა №** ... **სექტემბ. 1920 წ.** ერიობათა და ქალაქთა გამგეობებს და აფხაზეთის კომისარიატს. წინააღმდეგ კანონისა და მთავრობის დადგენილებისა ზოგიერთ სამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ურობის გაზრდა და აგრეთვე ... განაგრძობს თავის მაზრიდან ს... სანოვაგის გატანის აკრძალვას რუს... ლიკის დანარჩენ კუთხეებში და მით ... ეკონომიურ კრიზისს და ... და- ... უკანასკნელად გაფრთხილებით ...ებს, ქალაქების და აფხაზეთის კო- მისარიატს, რომ თუ კიდევ ასეთი ...ლენა განმეორდება, მიღებული იქნე- ბა სასტიკი ზომები კანონის და მთავ- რობის განკარგულების დასაცავად, და- ნაშავენი გადაყენებული იქნებიან სამ- სახურიდან და პასუხის გებაში მიცემუ- ლი. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟო- რდანია.

— თბილისის პროლეტარიატი და კაუცკი. ოქტომბრის 1 პროფ. კავ- შირთა საბჭოს სხდომაზე დაადგინეს ...ით მიესალმონ კ. კაუცკის. ...რას თბილისის პროლეტარიატი რევოლუ- ციონურ დროშებით შეიკრიბება მუშა- თა სახლესთან, საიდანაც იგი გაემარ- თება იმ ბინისკენ სადაც კ. კაუცკი სცხო- ვრობს. პროლეტარიატი მას საქართვე- ლოში ჩამოსვლის გამო თავის სიხარუ- ლს განუცხადებს. კაუცკის დღის მომწ- ყობ კომისიაში არჩეულია გიორგაძე და ...ყანი, გარდა ამისა ბადრიძის, მა- ...შვილისა და სალირაშვილის შემად- გენლობით არჩეულია კომისია, რომელმაც ...ბაას უნდა ჩამოიაროს ყველა წარმო- ებადა აცნობოს მუშათა საბჭოს დადგე- ნილება.

## ბოლშევიკები ბათომში.

საქ. დეპ საავ. საქ. კორესპ.

ევროპის სოციალისტურ დელეგაციის ჩამოსვლის დღეს სექტემბრის 14 ბა- თომის კომუნისტების ორგანიზაციამ გა- მოუყარა ფურცლები. მოწოდებაში ბოლშევიკები მოწოდებენ მუშებს შე- ... ინტერნაციო- ნალის გარშემო. მოუწოდება სავსე იყო ჩამოსულ სოციალისტების ლანძღვა გი- ნებით და ურჩევდა მუშებს ზურგი ექ- ციათ ყვითელ მასპინძლებისა და ყვი- თელ სტუმრებისათვის. ეს ფურცელი დაიჭირეს და მის გავრცელებისათვის რამოდენიმე პირი დააპატიმრეს.

ბათომში მყოფ საბჭოთა საკონსუ- ლომ რამოდენიმე ხნის შემდეგ აღ- ძრა შუამდგომლობა განსაკუთრებულ კომისარის წინაშე დატუსაღებულთა გან- თავისუფლების შესახებ. შუამდგომლო- ბას საკონსულო ასაბუთებდა მით, რომ დატუსაღებულნი-საბჭოთა მოქალაქე- ებია და მცირე წლოვანნი იყვნენ. გარ- და ამისა დაჭერილ იქმნა ვინმე ... მელიქ-ოსიპოვი, რომელმაც საბჭოთა მი- ერ მიცემული პირადობის მოწმობა წა- რადგინა, რომლითაც ირკვევოდა, რომ იგი რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კო- რესპონდენტის თანაშემწეთ და სომ- ხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთ ით- ვლებოდა. მოწმეების ჩვენებიდან გა- მოირკვა, რომ მელიქ-ოსიპოვი ურიგებ- და პროკლამაციებს თავის აგენტებს ხალხში გასავრცელებლად. ოსიპოვი, როგორც კი იქნა წარდგენილი და- მამტკიცებელი საბუთები, რომ იგი მარ- თლაც საკონსულოს მოსამსახურე იყო, დაუყონებლივ გაანთავისუფლეს. ამავე დროს ბათომში მოვიდა ცნობები თბი- ლისის სისხლის სამართლის მილიციისა- გან, რომ განსაკუთრებულ კომისარის კანცელარიაში მსახურებს ვინმე მენაბ- დე, რომელიც საბჭოთა მისიის აგენ- ტათ ითვლებაო. გამოირკვეული იქნა აგრეთვე კავშირი საბჭოთა წარმომად- გენლობასთან საფრანგეთის მისიის ში- კრიკის სომხეთის ქვეშევრდომის მარგო- სიანისა, რომელიც საფრანგეთის სამსა- ხურში ითვლებოდა ოფიცრად.

როგორც გამოირკვა მენაბდე ყველა კონვერტებს წინასწარ აძლევდა საბჭო- თა საკონსულოს, სადაც ხსნიდენ კონ- ვერტებს და შინაარსის გადმოღების შემდეგ აბრუნებდენ უკანვე. სექტემ- ბრის 14 ს მენაბდე სწორედ იმ დროს იქნა დატუსაღებული ალექსანდროვის ბაღში, როდესაც იგი აძლევდა ღია კონვერტს საკონსულოს ინფორმაციულ განყოფილების გამგეს პავჩინსკის. მენა- ბდესთან ერთად დატუსაღებულ იქნა პავჩინსკი, რომელმაც ჩვენებაზედ უარი განაცხადა, მაგრამ მენაბდესაგან მიღე- ბული დოკუმენტი გადასცა სისხლის სა- მართლის მილიციის უფროს. პავჩინ- სკი როგორც პასუხის მგებელი მოსამ- სახურე საკონსულოსი განთავისუფლე- ბულ იქნა. მენაბდის გამოკითხვამ გამო- არკვია, რომ პავჩინსკიმ რამოდენიმე- ჯერ მიმართა მას (მენაბდეს) წინადა- დებით გადაეცა მისთვის კომისარიატში მიღებული საიდუმლო დოკუმენტები. სა- ხელდობრ მან (მენაბდეს) მისცეს წი- ნადადება ეშოვა ასლი კისკინზადეს და- კითხვის ოქმისა და აგრეთვე სხვა დო- კუმენტებისა, დასასრულ მას სურვილს ყოფილიყო საკონსულოს საიდუმლო აგენტი კომისარიატთან, რისთვისაც მას დიდი თანხა შეაძლიეს.

ამგვარათ ბოლშევიკების ინგლისის სა-

ოკუპაციო მმართველობის დროს კი- დევ ქონდათ გავლენა ხალხში, მაგრამ საქართველოს ჯარების შემოსვლის შემ- დეგ ეს გავლენა დაკარგეს. და პრო- ფესიონალურ კავშირებში სრული და- მარცხება განიცადეს. ახლა ისინი აფა- რებენ საბჭოთა რუსეთის საკონსულო დროშას და განაგრძობენ თავის შავ მუშაობას დემოკრატიულ საქართველოს წინააღმდეგ.

სათანადო მთავრობის აგენტთა ცნო- ბებით გამოირკვა, რომ ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა საკონსულოს მდივა- ნი დადიანი. დასახელებულ პირებს მთა- ვრობის ორგანოები ყოველთვის ნდო- ბით ეკიდებოდა. მიუხედავათ ამისა იმათ მაინც მოაწყვეს დაწესებულებიდან სა- ბუთების დატაცება და საქართველოს წინააღმდეგ აგიტაცია. ბათომისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარმა ზე- მოთ მოყვანილ მასალებით აღძრა შუამ- დგომლობა მთავრობასთან, რომ ნოე თა- ხოვოს სტარკს საკონსულოდან განდევ- ნოს დასახელებული პირები, რათა ამით უნდობლობისა და გაუგებრობის ატმო- სფერა განფანტოს და საბჭოთა რუსეთის საკონსულოსთან შეთანხმებული მუ- შაობა მოეწყოს ორივე სახელმწიფოს ინტერესებს სასარგებლოდ.

## ე. პ. გეგეჭკორი პარიზში

პარიზი. სექტემბრის 14. საქართვე- ლოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მი- ნისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა გაზეთი ,,ტანის'' თანამშრომელს საქართველოს მდგომარეობის შესახებ შემდეგი გან- [illegible]

რომელიც წარმოადგენს არა მცირე ჯგუფის ხელოვნურად შექმნილ რესპუ- ბლიკას, არამედ გამოხატავს ხალხის ნე- ბა სურვილებს. ამ გვარათ საქართვე- ლოს რესპუბლიკას, როგორც ნამდვილ სახალხო რესპუბლიკას იმედი აქვს მო- კავშირეთა სახელმწიფოების თანაგრძნო- ბისა საქართველოს ამ საქმეში კერძოთ დიდი იმედი აქვს საფრანგეთის მთავ- რობისა და საფრანგეთის საზოგადოებ- რივი აზრისა. საქართველომ იცის, რომ ფრანგი ერი წყაროა განმათავი- სუფლებელ იდეალებისა და არ შეიძლე- ბა თანაგრძნობით არ მოეკიდოს თა- ვის ცხოვრებისა და თავისუფლებისათ- ვის მებრძოლ პატარა ერს, რომელმაც გარს შემორტყმულ ანარქიისაგან თა- ვის დაცვით გამოიჩინა თავისი სახელმ- წიფოებრივი ძალა. 1920. წ. იანვრის 12 მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლე- სმა საბჭომ იცნო საქართველოს ფაქ- ტიური დამოუკიდებლობა. საქართვე- ლოს იმედი აქვს, რომ ის იურიდულა- დაც იქმნება ცნობილი, ვინაიდან გა- ნათლებულმა ევროპამ არ შეიძლება არ იცნოს დამოუკიდებლობა იმ ხალხის, რომელსაც აქვს თავისი ეტნოგრაფიუ- ლი ინდივიდუალობა და 2000 წლო- ვანი კულტურა. ამიტომ ბუნებრივია ის, რომ ქართველმა ხალხმა წუხარებით მოისმინა ამერიკის ნოტა რუსეთის საკით ხზე. საქართველო გაკვირვებულია, რომ ოკეანეს იქითა დიდმა ერმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ თავის პრეზი- დენტის პირით იცავდა პატარა ერების არსებობის და თვითგამორკვევის უფ ლებებს, უარყო საქართველოს ისტო- რიული და ეროვნული უფლებები. ქარ თველმა ხალხმა აირჩია დამფუძნებელი კრება, რომელიც თებერ 12 შეიკრიბა. დამფუძნებელმა კრებამ გამოაცხადა რეს პუბლიკის დამოუკიდებლობა, შეიმუშავა კონსტიტუცია, შექმნა ადმინისტრა- [illegible]

საკითხს. დასასრულ აუცილებლად ვთ- ვლი აღვნიშნო, რომ იმ შემთხვევაში, თუ განახლებული რუსეთი შეეცდება საქართველო დაიბრუნოს, ქართველი ხალხი რომელიც აქამდე ნეიტრალობას იცავდა და სიმშვიდის მოყვა- რულია, იარაღით ხელში უკანასკნელ წვეთამდი დაიცავს თავის დამოუკიდე- ბლობას. მან დაიცა თავი დენიკინისა გან, შემდეგ კი ბოლშევიკებისაგან, რო მლებიც საქართველოს დამონებას ეცადნენ. მაგრამ საქართველოს სწამს, რომ საფრანგეთის მიერ ვრანგელის ცნობა არ ნიშნავს საქართველოს რე- სპუბლიკის სახელმწიფოებრივ დამოუ- კიდებლობის უარყოფას.

## ისკანდერ მუნჯის ფელეტონი.

### დამღუპა მომარაგებამ.

[illegible]

სამინისტროს საქმეა, მომარაგების სამი- ნისტროსი.

— ჩვენი მტერი დარჩეს მომარაგების სამინისტროს მოიმედე. ერთი ეს მიბრ- ძანეთ, აბა რა მოიმარაგო? პური გვაქვს უზრუნველი, ღვინო, ლობიო თუ შეშა.

— ნურც ეგრე იტყვი.. იაფ-ფასიანი პური ხომ გვაქვს, ერაძის პური...

— ერაძის პური? ნუღარ მომაგონებ... ერაძის პურს აღარ გიახლები. მუშათა მაგიდა ცხენების გაშენებას შესდგომია- ხუმრობა გგონიათ? ორ თვესა ვჭამდი ერაძის პურსა და .. არ დაიჯერებთ, ამ პურმა სიცილს გადამაჩვია და ჭიხვინი დამაწყებინა. შემეშინდა ცხენათ არ გა- დავიქცე .. ზამთარი მოდის, შეშა არსად არის, პური ძვირდება, შეშას და ნავთის ცეცხლის ფასი ეკიდება. რა დროს წე- რაა, ერთი მიბრძანე. მივატეხე წვერი კალამს, საწერი მაგიდა, საწერი მანქანა რაც მელანი და ქაღალდი მქონდა გავ- ყიდე, ბავშვების რვეულებიც თან მივა- ყოლე. შევკარი ოციოდე ათასი მანეთი და შევუდექი მომარაგებას.

— ოცი ათასით რას მოიმარაგებ? სა-

[illegible]

ნისტრო თურმე სხვა აზრისა ყოფილა: რაც საქართველოში სიმინდია, ის მინის- ტრის თურმე სულ ქათმებისათვის გად- უდვია.

სიმინდი არ გამომატანეს, მერე კახე- თში წავედი. თურმე ღვინო ისე გაძვი- რებულა, რომ ჩემი ავლადიდება რომ გავყიდო, ერთი საპნე ღვინო არ მომი- ვა. ეს კი კარგი საქმეა მომწონს. სამინი- სტროს გადაუწყვეტია:

ღვინო ევროპაში გაგზავნოს, კაპიტა- ლისტების სასმელიაო.

რა გაეწყობა? ხომ მოგეხსენებათ:

,,ს წყალსა კაცსა ვინ მისცემს, ალბის ლამეს ღვინოსა?

პური სჭამოს და წყალი სვას დაწვეს და დაიძინოსა''... მეც პურის მომარაგე- ბას შევუდექი. მადლობა ღმერთს, მილის წყალი თუ გაძვირდა, მტკვრის წყალი აქ არ არის. მართალია, დაწმენდა უნდა და შიბი ძვირია, მაგრამ რა გაეწყობა!

ჰო! კარგად მოვიფიქრე. ერაძის პურს ძროხას ვაჭმევ, რძეს გავყიდი და ადამ- იანის საჭმელ პურს ვიყიდი.

არც ამ მოხერხებამ გასჭრა. მიუტანე ერაძის პური ძროხას- თქვენ არ მომიკ- ვდეთ, კბილი არ დააკარა. ასე მითხრა: ამ პურს თივა და შვრია მირჩევნიაო. გავყიდე ძროხა და ერთი გირვანქა შა- ქარი ვიყიდე. მღვრიე წყალს მაინც დავ- წმენდავ და დავლევ.

— პური?

პურისა რა მოგახსენოთ. მინდა სახლი გავყიდო და ორიოდე ფუთი კარტოფი- ლი ვიყიდო, მაგრამ ჩემი ბედისა რომ ვიცი, მანამ სახლს გავყიდი, სახლები გაიაფდება და კარტოფილი გაძვირდება.

— სჯობს მაგ მომარაგებას და ალებ- მიცემობას თავი დაანებო და ისევ წერ- ას მიჰყო ხელი.

— რომ არ ვიცი რაზე ვწერო.

— ... თუნდ მომარაგების სამინის- ტროს მოქმედებაზე.

— მეშინიან, რომ გაჯავრდნენ?

— ცივ წყალი დაალიონ ... ბატონი ბრძანდებით. ... მი მომარაგების საქმე უნდა დავამთავ- რო: ვჰყიდ და სახლს, ავეჯს, სამკაულს, ძროხას. გავხდები ლუმპენ-პროლეტა- რიატი და იქნება მაშინ ან ღმერთმა მიშველოს, ან ევროპის სოციალისტურ- მა დელეგაციამ...

არა, რა ჩემი საქმე იყო მომარაგება? მო- მარაგების მთელმა სამინისტრომ თუ ვე- რაფერი მოიმარაგა, მე რა უნდა მომე- მარაგნა!..

## მორიგი ინციდენტი.

,,ნაციონალისტის'' რედაქტორი და დამფუძნებელი კრების წევრი, ბ-ნი გრ. ვეშაპელი, გასული თვის 29-ს ცენტრო ბანკში შესულა სესხის გამოსატანად იმ ანაზღაურების მისაღებად, რომელსაც ბ-ნი ვეშაპელს მომარაგების სამინისტრო შეპირებია. ამ დროს საბანკო ოპერაცია უკვე დახურული ყოფილა და ბ-ნი ვე- შაპელისთვის უთხოვნიათ, მეორე დღეს შემოსულიყო. ამას მოჰყოლია ბ-ნი გრ. ვეშაპელის რისხვა, მუქარა და ყვირილ- ყვირილით ბანკის კარების მიჯახუნება. ამას მეორე დღეს მოჰყვა ,,კლდის'' ,,ნაციონალისტად'' გადაკეთება და ვეშა- პელის კამპანია მთელი კოსმოსის წინაა- ღმდეგ, ერაძის სამინისტროს გამოკლე- ბით.

## ერობაში.

— ქ. თელავი. ქალაქის საბჭოს ხმო- სნები იმდენად ურიგოდ ეპყრობიან თა- ვის მოვალეობის აღსრულებას რომ საბ- ჭო ა.წ. მარიამობისთვის 16-ის სხდომა- ზე იძულებული შეიქნა შემდეგი დადგე- ნილება გამოეტანა: მიეცეს წინადადე- ბა ფრაქციებსა რომ აიძულონ ხმოსნები, წესიერად ესწრებოდნენ კრებებს. ხოლო ეს სხდომა თავმჯდომარემ უქვორუ- მობის გამო დახურა და დიდი კითხვა კი გადაუჭრელი დარჩა.

— ქალაქში გაიხსნა ახალი მაღაზია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმავე სხდომაზე სარევიზიო კომისიის წევრი უსა- ყვედურებს თვითმართველობას, რომ ამ- დენ ხანს რევიზია არა ხდება, რის მიზე- ზიც ის ყოფილა, რომ სარევიზიო კომი- სიის წევრები დატვირთული ყოფილან მრავალი საქმეებით. ამასთან ერთად სხდომაზე აღნიშნეს, რომ თვითმართვე- ლობის არცერთი კომისია წესიერად არ მუშაობდა. თვით ქალაქის მოურავიც კი აცხადებს, რომ საჭიროა რადიკალური ზომები, რომ კომისიებმა მუშაობა განა- ახლონ და დადგენილ იქნა გამრავლდეს რიცხვი სარევიზიო კომისიის წევრებისა. ნაცვლად 3 ისა დაესწრდეს 5 წევრი.

# ლიტერატურა და ხელოვნება

### მარტოობა შემოდგომის წვიმიან ღამეში

მარტო ვარ, მარტო! ღამეა. წვიმა:
სახლის თავებზე ტირის წვეთები.
ხეებს ფოთლები ცახცახით ცვივა,
და ცაზე არ ჩანს მთვარის სვეტები.

ჩემი ოთახის მაღალ კედლებზე
ვხედავ ლანდების თალხ ავგაროზებს.
მწუხრდება სული ფიქრთა ეტლებზე
და უხმოთ ვნატრობ მზიან ტაროსებს.

ქუჩებში ქარი დადის კივილით
როგორც ყაჩაღი კარებს აწვება.
ერთ ქალზე ვფიქრობ ეხლა ტკივილით:
ალბათ ამაღამ გვიან დაწვება.

უცებ გაჩნდება ოთახში ყვავი—
შიში ამიტანს, ავკანკალდები.
მინდა ქამარით დავიხრჩო თავი:
ვერ მფარავს მამის ჩოხის კალთები.

ვხედავ ეშმაკებს ფანჯრის მინებზე,
ბუხარში კატა ჩამოვარდება.
ობობა მკიდებს ჭერის ფიცრებზე.
ირგვლივ სიჩუმის კვნესა მყარდება.

გაბრაზებული დავიკბენ ცერებს.
ვიცეკვებ ლანდთან ცეცხლის მოდებით.
მოვკლავ კედლებზე მძინარე მწერებს...
და ხატთან მივალ დაღლილ გოდებით.

ავანთებ სანთელს ახალ წვალებით,
ვიჩოქებ ფრთხილათ და როგორც ბერი—
ღმერთს შევთხოვ შველას გარდაცვალებით:
ეძლევა ოთახს კვლავ ძველი ფერი.

ისევ მარტო ვარ! ღამეა. წვიმა:
სახლის თავებზე ტირის წვეთები.
ხეებს ფოთლები ცახცახით ცვივა:
და ცაზე არ ჩანს მთვარის სვეტები.

**რაჟდენ გვეტაძე**

## რუსთაველის მსოფლიო მზერა.

1. შესავალი.

[illegible]

განთა და მოვლენათა. მართალია: რიტ- მი ფართოდ აღებული ასხვაფერებს სა- განსაც და მოვლენასაც. მაგრამ ძირე- ულად ვერ ცვლის იგი ვერც პირველსა [illegible]

სთვის'' საჭიროა უთუოდ თავისებური მსოფლიო მზერა.

შესაძლოა ისეთნაირად შეხედო ნივთს, რომ იგი სრულიად შეიცვალოს. ყოველს ნამდვილს პოეტს ასეთი ,,შეხედვა'' აქვს უცილოდ. მისი მზერა ახალს სახეს აძლევს საგანს. მისი ცქერით ახალი ასპექტით ვლინდება მოვლენა. მზე მა- გალითად ათვისებულია მრავალი პოე- ტის მიერ სხვადასხვა ასპექტის ქვეშე. მაგრამ ძლიერი პოეტის მზერა მასში ნახავს ისეთს მხარეს, რომელიც არც ერთს სხვა პოეტს არ უხილავს.

ამაშია პოეტის ორიგინალობა და ყოველი ნამდვილი პოეტი ორიგინალუ- რია უთუოდ. ბოდლერის შემდეგ სამყა- როს დეკადანსმა სხვა ასპექტი მიიღო.

რუსთაველიც დიდი პოეტია და მასაც აქვს საკუთარი მსოფლიო მზერა. თავი- სებურია მისი ათვისება სამყაროსი სი- ყვარულის ფენომენზე. სხვავებულია მი- სი შეგზნება მეგობრობისა სიყვარულის ხვეულებში. ახალია სიცოცხლის რიტმი მის მიერ ათვისებული და სხვაა მისი ასახვა ხსენებული რიტმის ტემპისა.

მე მსურს პატარა კამარებში შევკარ რუსთაველის მსოფლიო მზერა. არის ტექ ნიური სიძნელე. ,,ვეფხის-ტყაოსანის'' სრული ტექსტუალური კრიტიკა ჯერ კიდევ არ მოგვეპოება. ძნელია გამორჩევა ნამდვილი ადგილის ყალბისაგან. მაგრამ არის მეორე მხარეც. თუ იმმანენტურად გამოვამდინარეთ რუსთაველის მსოფლიო მზერის მთავარი ნაკადი,—და ეს შესა- ძლოა ინტუიტივური მიწდომით,—მა- შინ თვითონ ასეთი ,,მონახვა'' დაეხ- მარება ტექსტუალურ კრიტიკას: შესა- ძლო გახდება მსოფლიო მზერის საერ- თო ხაზით ყალბისა და ნამდვილის გარჩევა.

2. პოეტიკა.

თითქმის ყოველს დიდს პოეტს აქვს საკუთარი პოეტიკა: თუ პირდაპირ თქმული არა ნაგულისხმევი მაინც. რუსთაველს თავისი პოეტიკა ნათლად აქვს გამოთქმული.

ერთი დარგი''. ამ სიტყვებით რუსთა- ველი სწორედ მას ადასტურებს, რომ პოეზია ბოლოსდაბოლოს სამყაროს თა- ვისებური ათვისებაა. მეცხრამეტე საუ კუნეში ამ დებულებამ უკვე ფილოსო- ფიური შკოლის დასაბუთება მიიღო.

იმავე ხანაში, რომელიც ზემომოყვა ნილი სტრიქონით იწყება, არის სხვა შესანიშნავი თქმაც: ,,საღმრთო საღ- მრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დი- დი მარგი''. ,,საღმრთო საღმრთოდ'': ამ სიტყვებში უკანასკნელი ამოწურვაა პოეზიის თვითარსის. პოეტური სიტყვა რუსთაველის აზრით არ არის უბრალო თქმა. იგი არ არის თითქმის ,,ადამია- ნური'' თქმაც. იგი სხვაა: ,,საღმრთო''. რიტმს სიტყვისას აქვს მაგიური ძალა. ძველად რიტმებით არჩენდნენ ავად მყოფებს (კორიბანტიზმი). დააკვირდით თუ გინდ ქართულ ,,ყვავილ ბატონებს'', საცა ჩონგურითა და მღერით არჩენენ ,,ყვავილით'' ავადმყოფს. აღმოსავლეთ- ში იციან შელოცვა, რომლის სიტყვიე- რი რიტმი გველს აჩერებს. ეს ალბად რუსთაველმაც იცოდა, რადგან სხვა ალაგს იგი ამბობს: ,,გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი''.

კიდევ უფრო საცნაურია ხსენებული ხანის მესამე სტრიქონი: ,,კვლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი''. შესაძლოა ამ სიტყვებში იყოს შორე- ული მიწდ-მით გამოთქმული სწორედ ის, რაც სტეფან მალლარმეს აზრს შე- ადგენს: სახელდობ: პოეტური ქმნილე- ბა მთავრდება მკითხველით. თუ მკით- ხველი ინტუიტივური მიმწდომია, ლე- ქსი ჰგებულობს ამით. ,,კაცი ვარგი'' შესაძლოა ასეთი მკითხველი იყოს.

შემდეგ: ,,ვითა ცხენსა შარა გძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურ თალსა მოედანი, მართლად ცემა, მარ ჯვედ ქნევა, მართ აგრეთვე მოლექსეთა ლექსთა გძელთა თქმა და ხევა''. აქაც დიდი სიმართლეა გამოთქმული. პოეტს გამოსცდის დიდი ,,გადავარდნა''. ,,მან- ძილი'' საზომია პოეტის სიდიდისათვის.

თუ სადმე თქვას ერთი ორი''. მაშ ვის ჰქვია მოშაირე? იგულისხმება: ვისაც აქვს განუწყვეტელი პოეტური მქნე- ლობა. ,,ერთი-ორი'': ეს ,,დროგამოშვე- ბითა'': აქ პოეტობა გამოდის ,,სხვათა შორის''. რუსთაველის აზრით კი პოე- ტური წვა და დაცეცხლება პერმანენ- ტული უნდა იყოს.

პოეტს უნდა შეეძლოს ,,სრულ-ქმნა სიტყვათა''. არის პოეტი, რომელსაც ეს არ ძალუძს. რუსთაველი იტყვის ასეთზე: ,,ვამზგავსე შვილდი ბედითი ყმანვილთა მონადირეთა: დიდსა ვერ მოჰკლენ, ხელად აქვსთ ხოცა ნადირთა მცირეთა''. ნამდვილი პოეტი კი „სრულ ქმნილი სიტყვით'' გამოიწვევს ,,გულის გასაგმირს'' განცდას.

ლექსი სხვა და სხვა გვარია: სანადი- მო, სამღერალი, საამიკო, სალაღობო, ამხანაგთა სათრეველი! „ჩვენ მათიცა გვი- ამების'',—იტყვის რუსთაველი. მაგრამ ასეთი შაირობა არ არის უზენაესი: ეს უფრო მეორე რიგისაა. მაღალი შაირო- ბა რუსთაველის აზრით მხოლოდ მიჯ- ნურობის ამღერებაა. ხოლო როგორი? ,,ჰხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუ- დათ არ აბრკმობდეს''. ესე იგი: არ ჰფანტავდეს. დიდი სიბრძნე არის აქ გამოთქმული: ,,ნაჭირვებს'' (ესე იგი: განცდას) პოეტურს სჭირდება დიდი მოვლა, ზდა, მომწიფება. ამის კონ- კრეტული მადასტურებელი გოეტჰეს პოეტური განცდაა, რომელიც წლობით შეირჩეოდა და მწიფდებოდა. კერძოდ მიჯნურობაში რუსთაველის სიტყვით მელექსე ასე უნდა იქცეოდეს: ,,ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აში- კობდეს, ყოვლსა მისთვის ხელოვნობ- დეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, მისგან კიდევ ნურა უნდა, მისთვის უნდა მუსი- კობოს''. აქ წინასწარ თქმულია იტა- ლიური რენესსანსი: პეტრარკას ლაურა და დანტეს ბეატრიჩე.

**გრიგოლ რობაქიძე.**

## ევროპის სოციალისტური დელეგაცია სამტრედიაში.

საქმე იმაში არ არის, რომ ამბობენ მოსკოვის, ჟენევის, ან ლონდონის ინტერნაციონალზე, არამედ იმაში რომ ყველა ის ვინც დარჩა მეცნიერულ სოციალიზმის საფუძველზე, ჩვენ ნაცად ძველ გზაზე, შეადგენს და აღადგენს ინტერნაციონალს. ხოლო ერთი ნაწილი მუშებისა, რომელნიც ომმა დაქსაქსა და დღეს ნგრევა-განადგურებას მიმართავენ რასაც დღემდი ბურჟუაზია მართავდა ძალდატანებას სახით, ეს არის გარდამავალი ხანა, რომელსაც ბოლოს მოუღებს თვით ორგანიზაციულად შეკავშირებული, დარაზმული მუშათა კლასი. ჩვენში დაგროვილია სიმდიდრე, გვაქვს ფაბრიკები, ინდუსტრია უმწვერვალესად განვითარებულია, მაგრამ ის ბურჟუაზიის ხელშია, თქვენ კი არ გაქვთ ფაბრიკები, მარა გყავთ თქვენ მთავრობა, რომელმაც უნდა შექმნას სიმდიდრე. ამ გვარათ, საქართველოს მუშათა კლასმა იმავე ენერგიით. იმავე გატაცებით და შეგნებით თვით უნდა მოკიდოს ხელი ქვეყნის სიმდიდრის შექმნას, მან ძლიერი იერიში უნდა მიიტანოს ამ ყველაზე უფრო ძნელ ფრონტზე და ასე თქვენ უნდა იბრძოლოთ სიმდიდრის დასაგროვებლად, ხოლო ჩვენ ამ სიმდიდრეს მუშათა კლასის ხელში გადასავლელად. და ამ ორი გზით ერთი მიზნისკენ, ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს, ჩვენ უკვე მოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეები და მაკვირვებს ქართველი ხალხის სიმხიარულე და მომღიმარი, იმედით სავსე სახე. და როცა გიცქერთ თქვენ ყველას, გაშლილი წითელი დროშების ქვეშ და მესმის ეს იმედის მთქმელი სიმღერათა გუგუნი, მე მაგონდება ერთი ზღაპარი: იყო დილა მზე ამოდიოდა და მის მოლოდინში სამი არსება ხე კოშკი და მთა დაობდნენ. ხე ამბობდა: მზე ჩემთვის ამოდის, ჩემ ტოტებზე სხედან ბულბულები და გალობენ მის ამოსვლასო. კოშკი ამბობდა მე მაღალი ვარ მე ამაყი ვარ, მე უძლეველი დარაჯი მყავს და მზის სხივებიც მხოლოდ ჩემს კედლებს მოხვდებაო, ის ჩემთვის ამოდისო, ხოლო მთამ სთქვა: თქვენ რას დაობთ, ჩემი მწვერვალი მაღალია, ის ღრუბლებს წვდება და მზეც მხოლოდ ჩემს საამურ ფერდობებს მოეხვევაო. ამ დროს მზეც ამოვიდა და მისმა სხივებმა გაანათა ყველა ერთნაირათ: ხეც, კოშკიც და მთაც გააბრწყინა მისმა სინათლემ. და სოციალიზმიც ასე ამობრწყინდება, ის ერთნაირათ გაანათებს ყველას მაშინ არ იქნება მჩაგვრელი და ჩაგრული, მაშინ არ იქნება მუშა და უმუშევარი, მაშინ არ იქნება მდიდარი და ღარიბი, მაშინ დადგება შრომის სანეტარო სამეფო, სადაც თავისუფლება, ერთობა თავასწორობა დამკვიდრდება.

მარკეს სიტყვა.

თქვენ ეხლა შედარებით მშვიდობიან პირობებში ხართ და მთელი თქვენი ძალღონე და ენერგია უნდა მოახმაროთ ეკონომიური ცხოვრების გამაგრებას. თუ გინდათ შეინარჩუნოთ თავისუფლება თუ გინდათ მოწონების უღელი სოფლად თუ ქალაქად, მუშამ, სოფლის მეურნემ, თუ ინდუსტრიის პატრონმა განუწყვეტლივ უნდა იმუშაოთ, რომ შექმნათ სასურველი ეკონომიური პირობები. ყველაზე ძნელი ფრონტი, ყველაზე უსასტიკესი, რომელიც კი გინახავთ თქვენ დღემდი, ეს არის ეკონომიური ცხოვრების ფრონტი და მთელი თქვენი ძალღონით უნდა შესძლოთ ამის დაძლევა, შრომით რომ მოპოებული გამარჯვებანიც შეინარჩუნოთ".

## გ. კოტე ბუაჩიძის წერილის გამო

როგორც იყო, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ძალა ფინეზურად გააბედვინეს ბ. კოტე ბუაჩიძეს ხმის ამოღება მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებების შესახებ, რომელსაც მოუთავსებია წერილი გაზ. „ერთობის" №188 და შესდგომია თავისებურად თხზვა-შესწორებას და გადამახინჯებას იმ ცხად და უტყუარ ფაქტებისას, რომელიც ნათლად ღაღადებენ მის და მის კომპანიის მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებას, რითაც სცდილობს როგორმე შესძლოს და მოახერხოს თავის მართლება საზოგადოების წინაშე და დროებით მაინც ერთგვარი მალამო აცხოს.

აბა მოუსმინოთ ბ. კოტე ბუაჩიძეს თუ რა საშუალებით და რა საბუთებზე აწყარებს ის თავის მართლებას.

პირველ ყოვლისა ბ. კოტე ბუაჩიძე ეხება სწორედ იმ მტკივან ადგილს, რამაც მისცა მას და მის კომპ. საშუალება მიეთვისებინათ სასოგადოების ქონება. ეს მტკივნეული ადგილი გახლავსთ ზესტაფონის კოოპერატივთა კავშირის აწეწილ დაწეწილი საქმის წარმოება, სადაც არამც თუ მთავარი და მეორე საბუხჰალტერო ხარისხის წიგნები, არამედ უბრალო ნაგლეჯი ქაღალდიც არ მოიპოვებოდათ შემოსავალ-გასავლის აღნიშვნით, როდესაც ბ. ბ. ბუაჩიძე და გუნცაძე დიდი გამოცდილნი და კარგი კოოპერატივის საქმის მცოდნენი იყვნენ და მათ საქმის დაწყებისთანავე ბუხჰალტერი მოწვეულ ჰყავდათ, კავშირის 3-4 მილიონიან ოპერაციებს, შეიდი თვის განმავლობაში ზეპირად აწარმოებდნენ. ამით მათ სურდათ არავის არ ჰქონოდა საშუალება გაეგო და გამოერკვია, თუ საიდან რა და რამდენ საქონელს რა ფასში ყიდულობდენ, როგორ და რა ფასში ასაღებდენ და გასაღებულ საქონელში რას გებულობდენ ისინი ერთი სიტყვით, არავის არ უნდა ჰქონოდა საშვალება, შემთხვევის დროს ეხილ მძლევანელებინა რაიმე საბუთით, უამისოდ კი ყოველივე ბრალდება, შემდეგ მათი, როგორც დახელოვნებულის პირების, ახსნა განმარტებისა მიეწერებოდა შეცდომა-დაუდევრობის, ან სხვა რაიმე მიზეზს, მორჩა და გათავდა! ამით აიცდენდენ ყოველივე პასუხისმგებლობას, რაც უკვე სისრულეში მოიყვანეს საზოგადოების ქონების მითვისებით.

ამხილეს რა მათ მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედება, მათ ბრალდებას მოსაშორებლათ უკვე მიმართეს ბ. კოტე ბუაჩიძის სახით, იმ თავის წინასწარ მომზადებულ საშუალებას ე. ი. შეცდომა-დაუდევრობას და მასთან ერთად ბ. კოტე ბუაჩიძე ამ თავის და მისი კომპანიის ნამოქმედარ ნამყოფის ცოდვებას ახვევს თავზე კავშირის ბუხჰალტერს, ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი! „ხელს არ ანძრევდაʻ არაფერს აკეთებდა, არავითარი ცოდნა, უნარი და გამოცდილება მას არ შესწევდაʻ -ო.

ეს საბუთი, ორ ნაირი მოსაზრებით არ უნდა იყვეს მართალი და მასთან ყოვლად დაუჯერებელი და დაუშვებელია, ერთი მით, რომ თუ ბუხჰალტერი იყო მიზეზი ამ არევ დარევისა, რისი მეოხებითაც მოხდა ფულის და ნივთების მითვისება და არა თვით კავშირის გამგეობა არ ყოფილიყო მიზეზი ყოველივე ამისა, რისთვის ღებულობდა გამგეობა თავის თავზე ყოველივე დანაშაულს და არ განაცხადა საზოგადო კრების წინაშე, როდესაც კრება სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ ყველა ბრალდებების თოთხმეტივე მუხლის, გარდა მეორე მუხ., გამგეობის მიმართ ღებულობდა და ადასტურებდა?

მეორე, რომ ეს მართალი იყვეს; არაფრის მცოდნეს და გამოუცდელ—გამოუსადეგარ ბუხჰალტერს თავის ადგილზე გააჩერებს რომელიმე დაწესებულების გამგე-მართველი პირი და მასთან შვიდი თვის განმავლობაში ჯამაგირს მისცემს სისტემატიურად ყოველ თვეში, განა ეს წარმოსადგენი და დასაჯერებელია, გარდა კოტე ბუაჩიძისა?

ადვილი შესაძლებელია ჯამაგირს საქველმოქმედო კასიდან ღებულობდენ, როგორც ბუხჰალტერი, აგრეთვე თვით ბ. კოტე ბუაჩიძე და მისი კამპანიონი იოსებ გუნცაძეც, როდესაც ის, ბუაჩიძე, ბრძანებს: „ჩვენ ორ წევრს არ გვეცალა ერობაში ვმუშაობდითო", მიუხედავად ამისა ჯამაგირს ორი ადგილიდან ღებულობდენ, როგორც კავშირიდან, აგრეთვე ერობიდანაც.

შემდეგ ბ. კოტე ბუაჩიძე ეხება არსებითად ბრალდებებს, სთხზავს და ასწორებს თავისებურად საზოგადო. კრების ოქმის მუხლებს და იწყებს შაქრის ბრალდებიდან ახსნა განმარტებას და ბრძანებს: „დღიურებში არ აღმოჩდა გატარებული 93 ფ. შაქარი (ისიც შეცდომით, როგორც ეს საზოგადო კრებაზე აიხსნა კიდეც), მაგრამ შაქარი გასავალში არის გატარებული და ხვედრი ფულიც მიღებულია კავშირის მიერ, არ სჩანს მხოლოდ თუ ვის მიყიდეს, ნუ თუ ეს არის ბოროტ-მოქმედება საქონლის და ფულის მითვისება? გვეკითხება გაკვირვებული ბ. კოტე ბუაჩიძე,—დიახ სწორედ ეს გახლავსთ ორ ნაირი ბოროტ მოქმედება ბ. კოტე, ერთი მით, რომ საზოგადოების ქონება მიითვისეთ და მეორე საზოგადო კრების ოქმს ამახინჯებთ და ამით გსურთ მკითხველ საზოგადოებას თვალები აუხვიოთ, როდესაც თქვენ ბრძანებთ: „კრებაზე აიხსნა 93 ფუთი შაქარი დღიურებში არ აღმოჩდა შეცდომით გატარებული", რომ ეს სიმართლეს მოკლებულია და საზოგადო კრების ოქმი გადამახინჯებულია, ამის დასამტკიცებელ საბუთად მომყავს საზოგადო კრების ოქმის 93 ფუთი შაქრის შესახებ მე 12 მუხლი: „იმის შესახებ თუ ვისზე განაწილდა 93 ფუთი შაქარი გამგეობას არ აღმოაჩდა არავითარი ცნობები, აგრეთვე არ აღმოაჩდა დადგენილება შაქარზედ ფასის მომატების შესახებ.

აბა მიბრძანეთ ბ. კოტე, სად არის აქ დადგენილება საზოგადო კრების მიერ, რომ „93 ფუთი შაქარი შეცდომით არ არის გატარებული დღიურებში"? თუ ეს სიტყვა „შეცდომა" თქვენი სურვილის ნაყოფია, რომ ოქმში ყოფილიყო მოხსენებული, როგორც დაგაიმედათ თქვენმა დამქაშმა ინსტრუქტორთა კოლეგიის თავმჯდომარე ერქომაიშვილმა, მაგრამ ხომ ხედავდით, რომ ვერ მოახერხა და არ დაკმაყოფილდით მით რაც შესძლო და მოახერხა?—მეტი უმადური ბრძანებულხართ ბ. კოტე!

ამავე 93 ფუთი შაქრის შესახებ ბრძანეთ: „ხვედრი შაქრის ფული მიღებულია კავშირის მიერ"-ო, მაგრამ ხვედრი ფულიც, რომ გადაგეხადათ ეს არ არის საკმარისი ბ. კოტე, ბრალდების თავიდან მოსაშორებლად, თუ გადაიხადეთ, გადაიხდით თქვენ, ესე იგი შეავსებდით საერთო შაქრის ფასს, იმის და მიხედვით, თუ რა შაქრის ფასიც იყო აღნიშნული დღიურებში 160 მანეთს ფუთზე, ასე იგი 93 ჯერ 160 იქნება 14880 მანეთს, როდესაც გარეთ, კერძოდ იყიდებოდა ფუთი შაქარი 2000 მანეთად, რაც შეიცავს 93 ჯერ 2000 იქნება 189000 მანეთს; განსხვავება, როგორც ხედავთ, კერძოდ გაყიდულსა და დღიურებში აღნიშნულ ფასს შორის გიხლავსთ 186000—14880 იქნ. 117000 მანეთი. აი ბ. კოტე, ეს განსხვავებული შაქრის ფასი 171000 მანეთი გახლავსთ თქვენ და თქვენი კომპანიის მიერ მითვისებული.

ასევე ითქმის იმ ბრალდებაზე, რომლებსაც თქვენ იხსენიებთ ნავთის, რკინის, მავთულის და სასწორის შესახებ.

ნავთის შესახებ ბრძანებთ: „გამგეობამ, როგორც კომისია, აგრეთვე საზოგადო კრებას აუხსნა, რომ ნავთი იყიდებოდა წვრილ წვრილობით იშვიათად და ამის გამორკვევა, თუ რას შეადგენდა 5 მანეთის ფუთზე განსხვავება, შრომადაც არ ღირდა"-ო. განა ესეც გადამიხინჯება არ არის კრების მიერ შედგენილ საბრალდებულო ოქმის მუხლისა?

ბ. კოტე ბუაჩიძის სიტყვით, ვითომ საქმე ეხებოდეს მხოლოდ წვრილ-წვრილად გაყიდულ ნავთის ფულს, რომელიც ვითომ დიდ ჯამს არ შეადგენდა და არც იკადრებდა მის მითვისებას, და არა პარტიობით გაყიდულს. თუ ამაშიც არ სტყუის ბ. კოტე ბუაჩიძე, ამის დასაბუთად აქვე მომყავს ამ ნავთის შესახებ საზოგადო კრების საბრალდებულო მე-10 მუხლი. „ნავთი იყიდებოდა 2 ნაირად პარტიობით და წვრილ წვრილად ორივეს ფასები გამორკვეული იყო, მხოლოდ გამოურკვეველი იყო ის რამდენი გაიყიდა წვრილად და რამდენი მარტიით, რის გამოც ნავთის მოგების რაოდენობის აღდგენა შეუძლებელი შეიქნა".

როგორც ჰხედავთ ბ. კოტე, 5 მანეთის განსხვავებაზე არ ყოფილა საქმე, როგორც თქვენ ბრძანებთ, არამედ ყოფილა, როგორც წვრილ-წვრილობით, აგრეთვე პარტიობით გაყიდულ რაოდენობის აღდგენაზე, რისი უმეტესი ნაწილიც თქვენ მიგითვისებიათ ისე როგორც სხვა ნივთები და ფული.

რაც შეეხება საბრალდებულო მე 8 მუხლის სასწორის შესახებ, რომელზედაც ბ. კოტე დიდ გაკვირვებას გამოსთქვამს მის უვარგისობაზე და გვიმტკიცებს მის სისწორეს, ვინაიდგან ძველი გამგეობის შემდეგ, ახალი გამგეობაც საქონელს იმ სასწორით ყიდდა და დღესაც ყიდის, თუ სწორი არ იყო სასწორთა პალატას უნდა გაესწორებიაო და მოითხოვს ჩემგან სასწორთა პალატის საბუთს.

ამის დასამტკიცებლად, რომ ბ. კოტე ბუაჩიძე, ჩვეულებრივად აქაც სტყუის და კრების ოქმსაც თავისებურად ასწორებს და ამახინჯებს, აქვე მომყავს საზოგადო კრების საბრალდებულოდ სასწორის შესახებ მე-8 მუხ.: „რევიზიის დროს კავშირის საწყობში აღმოჩდა უვარგისი სასწორი, რომელიც იპარავდა 6—7 გირვანქამდე".

ახლა რას იტყვით ბ. კოტე; ყოფილა სასწორი უვარგისი და იპარავდა ის 6—7 გირვანქამდის, თუ კიდევ მოითხოვ ჩემგან სასწორთა პალატის საბუთს?

(დასასრული იქნება).

ალექსი საყვარელიძე.

## ჩვენი კორესპონდენციები

### სოფ. მაღლაკი.

ბოლო დროს ხოფ. მაღლაკში გამრავლდენ ბანქოს მოთამაშეები. კვირა დღეს სადაც უნდა გაიხედოთ, დაინახავთ გზაში, მუხის ჩამჯდარ ახალგაზრდებს კარტით ხელში. ამ მდგომარეობას მაღლაკის თემმა მიაქცია ყურადღება და 30 მარიამობისთვეს თავის სხდომაზე აკრძალა ბანქოს თამაში.

მაგრამ ეს დადგენილება სისრულეში არავის მოუყვანია, ან და ვინ მოიყვანდა სისრულეში, როდესაც მაღლაკის გამგეობის წევრები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ამ საქმეს თვალი ადევნონ, თითონვე ბანქოს თამაშში ატარებენ დროს...

ენკენისთვის 2 მაღლაკის თემის გამგეობის თავმჯდომარე ივანე ქორქოლიანი შევიდა ალ. ქორქ. დუქანში და წინადადება მისცა დუქნის პატრონს ეთამაშნა მასთან ბანქო. მაგრამ ალ. ქორ-მა გამგეობის თავმჯდომარეს თემის დადგენილება მოაგონა და უარი უთხრა. ივ. ქორქოლიანმა უპასუხა: „მე ვარ კანონმდებელი და ვერავინ ვერაფერს გამიბედავსო". ამის შემდეგ მედუქნეც დასთანხმდა და გაიმართა ბანქოს თამაში. ივ. ქორქოლიანმა წააგო სამი ათას მანეთამდი და ფულის მიცემას აღარ აპირებდა მაგრამ ალ. ქორქ. დაიჭირა, წაართვა ფული და დანით ყელის გამოჭრას უპირებდა. ეს ყველას ემცნო, მაღლაკის ერთეულს და ენკენისთვის 11-ს მაღლაკის „კანონმდებელი" გამგეობის თავმჯდომარე დათხოვნილ იქმნა გამგეობიდან. მაგრამ მარტო მისი დათხოვნა არ კმარა დანარჩენი ორი გამგეობის წევრი ბერ. კვირ-ძე და გერ. ქორ-ნიც ივანე ქორქოლიანს უნდა გააყოლონ კუდში, ვინაიდან ეს ორი ვაჟბატონიც იმ ხელობის კაცებია, რა ხელობისაც გამგეობის თავმჯდომარე იყო-დანარჩენ მათ დანაშაულზე და სასჯელზე ჩვენ არ აფერს ვიტყვით, მაგრამ თვით მკითხველმა გასაჯოს თუ რის ღირსია ისეთი გამგეობა, რომელიც ხალხს ტყუილა უბრალოდ შეუწუხებელ აყენებს, მუდამ თავის კუჭზე ფიქრობს და მთვრალი გდია სადმე მახლობელ სამიკიტნოში, მთხოვნელები კი გამგეობის ოთახის კარებში დილიდან საღამომდის მშიერები არიან გაჩერებული, საღამოს კი უარით მიდიან სახლში.

აი, სწორედ ასეთი ხალხი ააშენებს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას.

არკუზ.

### ს. ნაზარევი.

უმიწობა აწუხებს იმერელ გლეხს, მას არ აქვს საყოფად სახნავ სათესი, სძოვარი და ტყე, და ამიტომ, მიუხედავად განუწყვეტელი შრომისა, იგი მაინც ღარიბია. მისი ლამაზი ფიცრული სახლი, კოხტა და სუფთა ჩაცმულობა სიღარიბეზედ არას ამბობენ, მისი გაშლილი შუბლი, გახალისებული სახე, გულუხვი სტუმართ-მოყვარეობა სიმდიდრეზედ მეტს გეტყვიან ვინემ სიღარიბეზედ. იგი არ იჩენს სიღარიბეს, მაგრამ მაინც ღარიბია. ნაზარევის გლეხიც ასეთია. მას არც, ნიკოლოზის დროს ჰქონია საყოფი მიწა და არც „მენშევიკების" დროს აქვს. აქაური გლეხი მხნე და გამრჯელია, ამიტომ არის რომ თავის პატარა ქვიან მიწის ნაჭერზედ მოჰყავს სარჩო თუ ამინდმა ხელი არ შეუშალა. უმეტესად კი აქაურები შეშის დამზადებას მისდევენ, შეშასა სჭრიან ჩრდილო-აღმოსავლეთის მთაზე, საიდანაც სათავეს იღებს ამ სოფელზედ ჩამომავალი მდინარე „ჭიშურა, რომელზედაც 30 დე წისქვილია. ამ მდინარის სათავეში ტყე სრულიად ისპობა, ამიტომ არის რომ დიდი წვიმების დროს მოვარდება ხოლმე ჭიშურა და სოფელს დიდ ზარალს აყენებს. საჭიროა ერობამ აკრძალოს ამ მდინარის სათავეში ტყის მოჭრა. ეს უფრო სასარგებლო იქნება ამ სოფლისათვის. სოფელს დღემდე კლასი არ ჰქონდა მგონი იმიტომ რომ აქაურ მღვდელს უთქვამს, მოიცადეთ და ჩემი სიკვდილის შემდეგ კლასს აგიგებთო. სოფელიც ამას უცდიდა. მოთამინება გამოელიათ, ახლა ერობის თავმჯდომარის ბ-ნ. პლ. პატარიძის ხელმძღვანელობით შესდგომიან კლასზედ ზრუნვას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე ამ სოფელსაც ეღირსება კლასი. მოთხოვნილება დიდია. აღსანიშნავია ამ სოფლის საქებრად, რომ ამ უკანასკნელ წლებში აქაურები მეტად გამოფხიზლდნენ და თითქმის ყოველ გლეხს მიჰყავს ქალაქს სასწავლ. ბავშვ., თუ ასე გაგრძელდა მალე ყოველი გლეხის ოჯახს ნასწავლი კაცი ეყოლება, საჭირო არის ჩემის აზრით და შესაძლებელიც არის რომ ამ სოფელში განზრახულ სკოლასთან ერთად სამეურნეო განყოფილებაც გაიხსნას ეს უფრო დიდი საჭიროა ამ სოფლისათვის. მიწის სივიწროვით და უვარგისობით გამოწვეულ მათ სიღარიბეს, მეურნეობის გაკულტურება მოსპობს ამ სოფლის აღმოსავლეთით აღმართულია რამოდენიმე ვერსზედ გაწვდილი ლამაზი მთა, იგი მარტო სილამაზის განსახიერება როდი არის, იგივე არის სიმდიდრის წყაროც. მთის მწვანე ზედაპირი ფარავს საუკეთესო თვისების ჩავს ქვას. შესაძლებელი არის ამ მთის ამუშავება, წარმოების გაჩენა, ეს სოფელ ნაზარევს სამრეწველო სოფლად გადააქცევდა და მრეწველობა კი როგორც ყოველგან, აქაც სიმდიდრესა და განათლებას დაატრიალებდა და აქაური გლეხიც წელში გასწორდებოდა. აქ იყო კიდეც ამ ათი წლის წინ წარმოება, დღეს ამ მთას სძინავს, იგი დამარხული და გამოუსადეგარი საგანძურია ამ სოფლისათვის, ჩვენ რესპუბლიკაში გამეფებული ეკონომიური წესები, საშუალებას არ აძლევენ კერძო კაპიტალისტს, ხელი მოჰკიდოს ასეთ სარგებლიან სამრეწველო საქმეს და მიწების წიაღში დამარხული სიმდიდრე ხალხის მოსახმარად გაზიდოს. თვით მთავრობას კი როგორცა სჩანს ამისათვის არც სახსარი, არცა სახსრება და არც საამისო ... დილება აქვს. სოფელი ... „პროლის ქ-დ" ... ვე კლას ... ვენ, რომელსაც შეუძლია მათი ... ეკონომიური გაღონიერება, მაგრამ რა ქნას მათ არ შეუძლიათ ამ სიმდიდრის ამუშავება, და იმედიან გაჭირვებას. რა გასაკვირია! „მენშევიკური სამეფო" „გაჭირვების სამეფოა".

ელიპსი.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ 1920 Წ.

1 ოქტომბერს

**ა ქ ტ ი ვ ი:**

| | |
|---|---|
| კასა | 487,695 |
| სახელდახელო ანგარიში ბანკისა სახაზინოში | 27,495 |
| ოქრო, ვერცხლი, უცხოეთის ვალიუტა, ჩეკები და ტრატები | 23,747 |
| განაღდება თამასუქების, სავაჭრო ვალდებულებათა და ვადიან ქაღალდებისა | 57,647 |
| სპეციალი სახელდ. ანგარ. უზრ. ყოფილი თამასუქებით და სავაჭრო ვალ. | 8,449 |
| სესხი და სპეციალ, სახელდახელო ანგარ. საქონლით და საქონლის მიერის საბუთებით | 72,079 |
| მთავრობასთან და ხაზინასთან | 73,937 |
| ,, უძრავის ქონებისა და მოწყობა მომართვისა. | 246 |
| დასაბრუნებელი თანხები, თამასუქების ქაღალდი და ღერბის მარკები. | 1,358 |
| მიმდინარე ხარჯები | 2,359 |
| ბალანსი | 755,012 |

**პ ა ს ი ვ ი:**

| | |
|---|---|
| ძირათადი თანხა | 150,000 |
| სპეციალი ,, | 50,000 |
| ანაბარი ვადიანი, უვადო და სახელდახელო ანგარიშები | 548,512 |
| გადუხდელი გადმოგზავნილი ფული და გარდამავალი თანხები | 1,858 |
| სარგებელი მიღებული ოპერაციებისაგან | 4,623 |
| საპენსიო თანხა | 19 |
| ბალანსი | 755,012 |

| | |
|---|---|
| საკომისიო თამასუქები და საბუთები | 652 |
| სააქტივო ოპერაციების უზრუნვ.-ყოფ. საბუთები | 8.421 |
| ანაბარი შესანახად | 115,186 |
| გარდამავალი საფასენი | 23,987 |

1—24—1

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხა. კედია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი

სტუდენტი იღებს

**გაკვეთილებს**

იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე.

**სამკურნალო**

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 ს. ... არის საწოლები. ყოროლენკოს ქ., 20, ვერაზე. 3102.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მთავარი-ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხშებ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთოსა (საპს) ... კვლევა მალეინის შეხაპუნებით. ... ცხვრის სახადი—მილიის ... ავათმყოფობას ვქიმობ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.

**მატარებელის მიმოსვლა.**

**თბილისიდან მიდის.**

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომამდის | № 17 | 7. |
| ბორჯომში ჩადის | | 2. |
| ფოთამდის | № 3 | 9. |
| ფოთში ჩადის | | 10. |
| ბორჯომამდის | № 19 | 2. |
| ბორჯომში ჩადის | | 8. |
| ბათომამდის | № 47 | 8. |
| ბათომში ჩადის | | 9. |
| ბათომამდის ჩქარი | № 5 | 11. |
| ბათომში ჩადის | | 11. |
| თელავამდის | | 8. |
| ქუთაისამდის | № 9 | 9. |
| ქუთაისში ჩადის | | 6. |
| სანაინამდის | | 1. |
| სალ-ოღლამდის | | 10. |

**თბილისში მოდის.**

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომიდან | № 20 | 12. |
| თბილისში მოდის | | 6. |
| ქუთაისიდან | № 12 | 11. |
| თბილისში მოდის | | 9. |
| ბათომიდან ჩქარი | № 6 | 11. |
| თბილისში მოდის | | 12. |
| ბათომიდან | № 8 | 3. |
| თბილისში მოდის | | 7. |
| ფოთიდან | № 4 | 8. |
| თბილისში მოდის | | 7. |
| თელავიდან | | 7. |
| სანაინიდან | | 11. |
| სალ-ოღლიდან | | 4. |

**=ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ=**

ბეკკერის საკაბინეტო როიალი 6/3 არშინი, მარმარილოს პირსაბანი სარკით. კიროჩნის ქ. № 39 მე-3 სართული. 1—3153

სახელმწიფო განათლების სამინისტროს უფლებებით მეორე

**საბუღალტერო კურსები**

**თ. მ. ფილიანისა**

ორთავე სქესისთვის. (თელავის, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 978). ... 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. ... 3101. 15

**ფორტეპიანის კლასი**

**ია. ლ. პორტუგალოვისა**

მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № ... 10—3153

**საჭიროა მოსამსახურე ქალი.**

მოიკითხეთ „საქართველოს" კანტორაში.